# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 29 ოქტომბერი 2007 №250 (3173)

ფასი 50 თეთრი


# საქართველომ ევროპასაც გადმოხედა ჩვენ ოქროს გუნდი ვართ!

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ევროპის ჩემპიონია! ჩვენს ძიუდოისტებს ტიტულები, პირადი თუ გუნდური, არასოდეს აკლდათ, მაგრამ ის წარმატებები, რომლებსაც ბოლო წლებში შოთა ხაბარელის შეგირდებმა მიაღწიეს, მაინც განსაკუთრებულია. აღარ დავიწყებთ ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე მოპოვებული სხვადასხვა სინჯის მედლების ჩამოთვლას და შევახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია გუნდურ შეჯიბრებაში და მსოფლიოში პირველებმა თავიანთი ძალა გუშინ ევროპაშიც დაამტკიცეს. ბელარუსის დედაქალაქ მინსკში, სადაც ევროპის გუნდური ჩემპიონატი ჩატარდა, ჩვენმა ძიუდოისტებმა ნახევარფინალში 3:1 დაამარცხეს უპრინციპულესი მეტოქე რუსეთი, ხოლო ფინალში საფრანგეთი დაჯაბნეს და კონტინენტის უძლიერესი გუნდის წოდება მოიპოვეს!



## ნანატრი ჯილდო ქართულ ხელებში



## ქართველმა ხელბურთელებმა ჩელენჯ ტროფი თბილისში დატოვეს

## ისევ ის ფონი
## ყოჩი ზესტაფონი და გამორჩეული ამბები

მეათე ტურმა ისე ჩაიარა, ცხრილის ზედა ნაწილი არ აურევ-დაურევია. ახალციხეში თამაში გაუჭირდება „დინამოს", ვამბობდით, მაგრამ ასე იყო თბილისელთა პირველ გოლამდე, მერე კი... „დინამომ" ლეგიონერების გოლებით მოიგო — ილია სპასოევიჩმა და ჟორჟ აკიემიმ თითო ბურთი შეიმატეს. „მესხეთს" კი გულშემატკივრის ტრიბუნიდან გადმოხტომამ და თამაშის ორი წუთით შეწყვეტამ, ცხადია, ვერ უშველა. თუმც „დინამო" კვლავ მეორე ადგილზეა, რაკიღა ცხრილის ყოჩმა „ზესტაფონმაც" დაგეგმილი სამქულიანი აიღო „სპარტაკთან". კიდევ რა იყო გამოსარჩევი? „მერანისა" და „ამერის" მოგებები, შესაბამისად, „ლოკომოტივთან" და „მგლებთან"...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 10 | 9 | 1 | 0 | 20:3 | 28 |
| დინამო | 10 | 9 | 0 | 1 | 26:3 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 7 | 1 | 2 | 16:8 | 22 |
| ამერი | 10 | 6 | 0 | 4 | 18:10 | 18 |
| ბორჯომი | 10 | 5 | 3 | 2 | 12:6 | 18 |
| მესხეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:11 | 17 |
| ოლიმპი | 10 | 5 | 2 | 3 | 9:8 | 17 |
| მგლები | 10 | 5 | 0 | 5 | 10:9 | 15 |
| სიონი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | 11 |
| ლოკომოტივი | 10 | 3 | 0 | 7 | 7:16 | 9 |
| სპარტაკი | 10 | 2 | 2 | 6 | 3:12 | 8 |
| მერანი | 10 | 2 | 0 | 8 | 5:20 | 6 |
| დილა | 10 | 1 | 2 | 7 | 7:18 | 5 |
| ბათუმი | 10 | 0 | 1 | 9 | 3:22 | 1 |



მერანელი ირაკლი შენგელია ლოკომოტიველ მცველებში გაიხლართა

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 10 ტური

თბილისი. 28 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 200 მაყურებელი

## ლოკომოტივი 0:2 მერანი

0:1 ტყეშელაშვილი (24), 0:2 გოჩაშვილი (74)

ლოკომოტივი: მიგინეიშვილი, დ. ფოფხაძე, გ. კვახაძე, ლალაძე, ქუხილავა, ი. სამხარაძე, ბარბაქაძე (ბობოხიძე 46), გულორდავა (მ. ძლენტი 35), ხოხონიშვილი (გ. მიქაძე 57), იმედაძე, ალავერდაშვილი
სათადარიგონი: ცერცვაძე, ა. კობიაშვილი, ტიკურიშვილი, დ. ჩაგელიშვილი
მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

მერანი: თევდორაძე, თ. კობიაშვილი, სარალიძე, გიგაური, ვ. გოჩაშვილი, ჯანგიძე, ფურთუხია, ბურჯანაძე (კობერიძე 70), ტყეშელაშვილი, ქემაშვილი (ს. ავალიანი 46), ი. შენგელია (კალაძე 62)
სათადარიგონი: მამარდაშვილი, გ. ლომაშვილი, იაგო ძეისაძე, იაკობ ძეისაძე
მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი

გაფრთხილება: ბარბაქაძე (27), შენგელია (32), ძლენტი (39), ფურთუხია (57), ლალაძე (59), მიქაძე (64)

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. ჯვარიძე, დ. ხანიძე; ზ. ახკაროლღი


ვლადიმერ გოჩაშვილის (მარჯვნივ) გოლი

# ლიანდაგზე გაჭენებული მერანი

ნუკრი ლოლაძე

გასულ ტურში „მერანმა“ დიდი ბრძოლა გაუმართა ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ „ზესტაფონს“ — იმერლებმა მხოლოდ ბოლო წუთზე შეძლეს გამარჯვების გოლის გატანა.

„ლოკომოტივის“ და „მერანის“ წლევანდელი საზრუნავი უმაღლესიდან არგავარდნაა. კონკურენტთა მატჩი თვალსასეირო გამოდგაო, რომ ვთქვათ, ტყუილი გამოგვივა, იმას კი ვიტყვით, რომ „მერანმა“ დამსახურებულად აიღო სამი ქულა.

თავიდან გრიგოლ იმედაძემ დაარტყა შორიდან, თუმც კარს ააცილა. მე-19 წუთზე მარცხენა ფრთიდან გიგა ბურჯანაძე შეიჭრა და ბურთი ილია ქემაშვილს გადააწოდა, მისი დარტყმული კი ომარ მიგინეიშვილმა გაჭირვებით მოიგერია. შეტევით უპასუხა „ლოკომოტივმა“, ჯერ ირაკლი სამხარეს არ გაატანინა რევაზ თევდორაძემ, შემდეგ კი გიორგი კვახაძის თავური გააუვნებელჰყო. 24-ე წუთზე გიორგი ტყეშელაშვილმა კარგად შეაყოლა ბურთი ირაკლი შენგელიას, მას ლოკომოტიველთა მეკარე ჩაუვარდა ფეხებში, თუმცა ბურთი იმავ ტყეშელაშვილმა მიიღო და დაუცველ კარში გაიტანა.

მეორე ნახევარში გიორგი კიკნაძემ შეცვლებით სცადა სიტუაციის გამოსწორება, თუმცა ამან შედეგი ვერ გამოიღო.

შეცვლაზე შესული გიორგი მიქაძე 64-ე წუთზე მცველებთან ჭიდილში საჯარიმოში წაიქცა, მაგრამ მსაჯისგან მხოლოდ ყვითელ ბარათს გამორჩა.

ბოლო ტაიმნახევარი მარჯვენა მცველად მოთამაშე ვლადიმერ გოჩაშვილმა თავდასხმაში გადაინაცვლა და იხეირა კიდეც — მარცხენა ფრთაზე აიღო ბურთი, გვარიანი მანძილი გაირბინა და მეკარესთან პირისპირ გასულს გატანა აღარ გასჭირვებია.

# ბათუმმა მხოლოდ გოლი შეიმატა

კობა ინასარიძე მცხეთიდან

ცხრა მატჩი, ორი გოლი, ერთი ქულა და, შესაბამისად, ცხრილშიც ბოლო ადგილი — ასეთი შედეგით ჩავიდნენ მწვრთნელშეცვლილი ბათუმელები მცხეთაში, ერთ-ერთ ლიდერ „ვიტ ჯორჯიასთან“ სათამაშოდ. არაფერი შეცვლილა გარდა იმისა, რომ „ბათუმმა“ გატანილ გოლებს გუშინ ერთიც შემატა, სამაგიეროდ კი, ერთბაშად ოთხი მიიღო. ზღვისპირელებს ვერც ახალმა მწვრთნელმა უშველა, ვერც მისმა ტაქტიკურმა ცვლილებებმა. სტუმრები, როგორც მოსალოდნელი იყო, პირწმინდად დამარცხდნენ.

პირველი 45 წუთი ისე გაილია, სტუმრებს კარში ერთხელაც არ დაურტყამთ. ბათუმელებს ერთი-ორჯერ კი ჰქონდათ კონტრშეტევის მცდელობა, მაგრამ მეტოქის კართან ბურთი აღარ მისულა, მცველები კარგად აზღვევდნენ ერთმანეთს და ესეც რომ არა, ერთადერთ სტუმარ ფორვარდ ვიტალი დარჩიძეს მარტოს უჭირდა დაცვის ხაზის გარღვევა. სხვათა შორის, ავთანდილ კუნჭულიას ტაქტიკურ მონახაზში ეს ცვლილებაც ვნახეთ — გამთამაშებელი დარჩიძე „ვიტ ჯორჯიასთან“ ცენტრფორვარდად. ხოლო როცა მწვრთნელმა საყრდენი ნახევარმცველი ზაზა ჭელიძე დაცვის შუაში გაამწესა და დარჩიძე ძველ პოზიციას მაშინ დაუბრუნა. მოკლედ, სულ ორიოდ დღის დანიშნული თავკაცი როგორ არ ეცადა, წარმატებული დებიუტი ჰქონოდა, მაინც არაფერი გამოუვიდა.

„ვიტ ჯორჯია“ მე-18 წუთზე დაწინაურდა და, შეიძლება ითქვას, ეს გოლი მცველისა და მეკარის „დამსახურება“ უფრო იყო. ისინი ერთმანეთის იმედად დარჩნენ, ბურთი კი სისწრაფეაკრეფილ ნიკა გელაშვილს დარჩა და უნაკლოდ დაარტყა.

ტაიმის ბოლოს ლუკა რაზმაძის შორიდან დარტყმული ხელებიდან გაუვარდა მეკარეს და იქვე მყოფმა ზაზა სახოკიამ ზუსტი თავურით სხვაობა გაზარდა.

ტაიმი მალევე დამთავრდა და „ვიტ ჯორჯიას“ მეტის გატანის შანსი აღარ მისცემია, თუმცა იქამდე პაატა დათუნაიშვილსა და მის პარტნიორებს კი ჰქონდათ საგოლეე კარგი შანსები.

შესვენების შემდეგ თამაში, ცოტა არ იყოს, მოულოდნელად განახლდა. მასპინძელთა მცველმა ზედ კარის წინ ბურთის ნაცვლად ფეხი სწორედ დარჩიძეს ამოსცხო და არბიტრმაც ულაპარაკო პენალტი დანიშნა. დარჩიძემ ზუსტად დაარტყა და სხვაობა შეამცირა.

მცხეთა. 28 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი. 200 მაყურებელი

## ვიტ ჯორჯია 4:1 ბათუმი

1:0 გელაშვილი (18), 2:0 სახოკია (45), 2:1 დარჩიძე (52პ), 3:1 კლიმიაშვილი (65), 4:1 გ. დათუნაიშვილი (70)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე (ინჯგია 88), გ. დათუნაიშვილი, ბეჭვაია, კლიმიაშვილი, სახოკია (ბერიაშვილი 46), გელაშვილი (ლუქაშვილი 75)
სათადარიგონი: მიქაბერიძე; კაიშაური, პირველი, მაისაშვილი
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

ბათუმი: თოთლაძე, ვ. კუნჭულია, თედორაძე, მაკარიანი, გალოგრე, ზ. ჭელიძე, ბეჟანიძე (ტულუში 46), კ. მახარაძე, ცანავა, ოქრუაშვილი (დემურაძე 73), დარჩიძე (ა. ბაჯელიძე 80)
სათადარიგონი: მამინაშვილი; ბაციკაძე
მწვრთნელი: ავთანდილ კუნჭულია

გაფრთხილება: ჭელიძე (22), ცანავა (29), სახოკია (29), ცანავა (76)

გაძევება: ცანავა (76)

მსაჯები: ო. ხეცაძე; ლ. მიქელაძე, კ. ბერაძე; მ. მაისურაძე

„ბათუმი“ დაიმუხტა და უფრო გააქტიურდა. თუმცა „ვიტ ჯორჯიამ“ არ დაუთმო და მეტოქეს იქით შეუტია. ნელ-ნელა მასპინძლები მთლიანად დაეუფლნენ უპირატესობას და ჯერ ირაკლი კლიმიაშვილის, შემდეგ გიორგი დათუნაიშვილის გოლებით ყველანაირი კითხვის ნიშანი მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე მოხსნეს.

დარჩენილ დროში „ბათუმს“ ორი ყვითელი ბარათის გამო ირაკლი ცანავა გაუძევეს, ხოლო მასპინძლებმა რამდენიმე მომენტი გაანიავეს.

# სიონის გასახდელში ცხადაძე გამოჩნდა...

რუსთავი. 28 ოქტომბერი. 15 საათი. ფოლადი. 200 მაყურებელი

## ოლიმპი 1:0 სიონი

1:0 სტურუა (88ს.კ.)

ოლიმპი: მერლანი, დევდარიანი, ქებაძე (ტიუკოვიჩი 72), დვალიშვილი (მგელაძე 87), რ. ჯიქია, კახელიშვილი, ორბელაძე, გახოკიძე, ბკუძსაგა, ნადალოცკი (კოშკაძე 70), სილაგაძე
სათადარიგონი: მ. ალავიძე, გენაძე, ჩივაძე, მახუანგა
მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი

სიონი: სტურუა, სვანიძე, ქურასბედიანი, რაქვიაშვილი, ოქროპირიძე, სანიკიძე (ქარდავა 87), ლ. ბაჯელიძე, ქუცურუა, ნ. ნადირაძე, ლ. ვაშაკიძე, ჩასემი
სათადარიგონი: ბობლიაშვილი; თავბერიძე, მენთესაშვილი, გაგუა, ქუთათელაძე
მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე

გაფრთხილება: სანიკიძე (73)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ი. მაჩიტიძე; ლ. კაკაბაძე; ა. ნონიკაშვილი

ილია ნანობაშვილი რუსთავიდან

„ნამატჩევს კახა ცხადაძე „სიონის“ გასახდელში შევიდა, ფეხბურთელები დაამშვიდა, ცოტა შეცდომებზეც მიუთითა და გაამხნევა, ასეთი გოლით მარცხი ათასში ერთხელ ხდება, მთავარია, რომ პროგრესი გეტყობათო. არ არის გამორიცხული, ცხადაძე ისევ დაუბრუნდეს „სიონის“ თავკაცობას. დანამდვილებით ჯერ ვერ ვიტყვით...

მართალს ამბობდა „სიონის“ ექს (და ვინძლო, მომავალი) თავკაცი: ბოლნისელებს წასაგები არაფერი სჭირდათ, მაგრამ...

88-ე წუთი იყო, ოლიმპელი რევაზ ჯიქია კარგ პოზიციაზე აღმოჩნდა და სტუმართა მეკარე ზვიად სტურუას თავზე გადაავლო ბურთი, თუმც სტურუას გიორგი ოქროპირიძე მიეხმარა და ცარიელი კარიდან თავით გამოიტანა. ამ მომენტს კუთხური მოჰყვა, ალეკო კოშკაძემ ჩააწოდა, სტურუამ კი მუშტებით საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი.

არის ასეთი მატჩები, როცა ფრე თითქოს გარდაუვალია, მაგრამ ბოლო წუთებზე ერთ გუნდს გაუმართლებს, მეორეს კი ბედი უმუხთლებს. საფრეო თამაში განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის, თორემ მეორეში „ოლიმპი“ შედარებით გამოცოცხლდა და ორი მომენტიც შექმნა. 72-ე წუთზე კოშკაძის აქტიურობას არეულობა მოჰყვა „სიონის“ საჯარიმოში და ლადო დვალიშვილს ბოლო დარტყმა აუცდა, მალევე იმავ დვალიშვილმა რევაზ ჯიქიას ვერ დაუფასა კარგი პასი და კვლავ უზუსტოდ გაისარჯა.

რუსთაველთა გააქტიურება კი სწორედ კოშკაძის შეცვლაზე შესვლიდან დაიწყო. პირველ ნახევარში ბოლნისელებს შეეძლოთ გატანა, როცა ერიკ რიმეო ჩასემი სერგო ორბელაძის შეცდომით თითქმის პირისპირ დარჩა მირზა მერლანთან, თუმც „ოლიმპის“ მეკარემ იყოჩაღა და კუთხურზე მოიგერია ბურთი...

ტაიმის შუაში „სიონიდან“ აშკარად გამორჩეულმა ნიკა ნადირაძემ მშვენიერ პოზიციაში დატოვა ლევან ბაჯელიძე, თუმც მან ბურთის გაჩერების ნაცვლად თავით დაარტყა და ძალიან უეფექტოდ. მასპინძელთა ერთადერთი შანსი კი ლაშა ქებაძეს მიეცა, რომელიც გიორგი კახელიშვილის პასისას ურტყამდა და ააცილა.

ტალახიანმა მინდორმა თამაშის ტემპზე და სანახაობრიობაზე იმოქმედა, აქა-იქ რამდენიმე ფეხბურთელი თუ აილებდა ინდივიდუალურად თამაშს თავის თავზე, თორემ ლამაზი კომბინაციები თითქმის არ ყოფილა.

„ოლიმპს“ ისევ სტურუამ უშველა, მანამდე შეფიქრიანებული ანატოლი პისკოვეცი კი, რომელიც ჩვეულად ემოციური იყო და წამდაუწუმ ოფლს იწმენდდა სახეზე, გასახდელში ღიმილიანი შევიდა.

და კიდევ: არ ვიცით, სად იყო სუფრა გაშლილი, მაგრამ თამაშის დასრულებისთანავე სტადიონზე სიმღერა „ქეიფია, ბიჭებო, თქვენ გენაცვალეთ...“ ააჟღერეს...

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

I წრე. 10 ტური



ზუგდიდი. 27 ოქტომბერი. 15 საათი. მ. თუთბერიძე. 4 000 მაყურებელი

### მგლები 0:1 ამერი

| 0:1 დავითნიძე (3) | |
|---|---|
| **მგლები:** ივარდავა, გაბედავა, მაჭავარიანი, ვართაგავა, კაკაბაძე, ბაკარანძე (ლიპარტია 80), ქირია (ქომეთიანი 80), ლ. კუტალია (ჭკადუა 66), ჯოჯუა, ხუბუა, ჭედია<br>*სათადარიგონი:* ჭითანავა, ნურწუმია, ხუხია, დ. კუტალია<br>**მწვრთნელი:** ბესიკ შეროზია | **ამერი:** ქვაჩახია, ელბაქიძე, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, დოლიძე (კობაური 75), დობროვოლსკი, დიდავა, დეკანოსიძე (მესხი 90), რ. გოცირიძე, ტატანაშვილი (ბ. ცხადაძე 83)<br>*სათადარიგონი:* ლ. ნადირაშვილი, მჭედლიშვილი, შალამბერიძე, ხვადაგიანი<br>**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე |
| **გაფრთხილება:** კუტალია (51), გოცირიძე (88), გაბედავა (90) | |
| **მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, დ. კურტანიძე; გ. დოგრაშვილი | |

# გამომცხადებელს ამერმა დაასწრო

**კოტე კეკელია ზუგდიდიდან**

**კარგი** იქნება, ზუგდიდის სტადიონზე ყველა ჭიშკარს აღებდნენ, რაკი ხალხი შესვლის დროსაც რიგში დგას და გასვლისასაც. მაგრამ, მოდით, ამ ამბავში კარგიც დავინახოთ. მეტიც — მოდით, მხოლოდ კარგი დავინახოთ, ანუ ის, რომ „მგლების" თამაშს გულშემატკივარი არ აკლია...

შაბათსაც თითქმის სავსე ტრიბუნამ თავისი საქმე საუკეთესოდ გააკეთა: „მგლებს" მხარდაჭერა წამით არ მოჰკლებიათ, თუმცა ამან იქაურთათვის შედეგი ვერ გამოიღო. ზუგდიდელებმა ამ სეზონში მეორე საშინაო მარცხი იწვნიეს, „ამერამდე", შეგახსენებთ, „დინამოსთან" წააგეს...

სტადიონის გამომცხადებელს სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, „მგლების" სათადარიგო მოთამაშეებს აცხადებდა, გოლი რომ გავიდა. გიორგი დეკანოსიძემ კუთხური მოინაგრა, გრიგოლ დოლიძემ ჩააწოდა და მეკარის ბაქანში ჩარბენილი სამი ამერელიდან ერთმა, გიორგი დავითნიძემ კი მანუჩარ ივარდავას შორ კუთხეში თავურით გაუტანა.

თამაშის მერე მასპინძელთა მწვრთნელმა ბესიკ შეროზიამ ესეც თქვა, სწრაფმა გოლმა თამაშის გადაწყობა თავიდანვე გვაიძულა და მატჩის მსვლელობისას კიდევ რამდენჯერმე გადავეწყვეთო.

გადაწყობამ „მგლებს" ვერ უშველა, თუმცა ორი უაღრესად სახიფათო მომენტი კი ჰქონდა.

დავითნიძის გოლიდან ერთ წუთში მასპინძელთა ფლანგური გადაცემისას ლევან კუტალიამ ბურთს ახლოდან და ღონივრად დაჰკრა მაგრამ, გიორგი ელბაქიძემ დარტყმა საკუთარ თავზე აიღო და გუნდი უეჭველი გოლისგან იხსნა.

მეორე კარგი მომენტი კი ზუგდიდელებმა საჯარიმო დარტყმით შექმნეს. მურთაზ კაკაბაძის დარტყმული კედელში მდგომ დენის დობროვოლსკის მოხვდა, მიმართულება შეიცვალა, თუმცა მოძრაობადაწყებულმა ზურაბ ქვაჩახიამ მოგერიება მაინც მოახერხა.

მთლიანობაში კი შესვენებამდე ბურთს „ამერი" აკონტროლებდა და მასპინძელთა შანსი, ისე ჩანდა, მხოლოდ სტანდარტულების გამოყენება თუ იქნებოდა. ხოლო ის ფაქტი, რომ ბურთი ამერელებისა იყო, ნახევარდაცვაში გივი დიდავას, დენის დობროვოლსკის და გიორგი დეკანოსიძის უშეცდომო თამაშით უნდა ავხსნათ. თავის მხრივ, „ამერი" მეტწილად შორი დარტყმებით ლამობდა სარგებლის ნახვას.

მეორე ტაიმში „მგლების" კიდევ უფრო გააქტიურება სავსებით ლოგიკური იყო, მაგრამ რაიმე განსაკუთრებულ მომენტებამდე საქმე არ მისულა. ბევრი სამუშაო არც მანუჩარ ივარდავას ჰქონდა.

თუმცა ის გარემოება, რომ მომენტები მწირად შეიქმნა, სულაც არ ნიშნავს, რომ ან ბრძოლა არ იყო, ან რომელიმე ფეხბურთელმა თავი დაზოგა და ბოლომდე არ დაიხარჯა. და აქ, ერთხელაც გავიხსენოთ მაყურებლის ფაქტორი — ასეთი აქტიური ქომაგობისას ალბათ შეუძლებელიც იყო, თამაში მოსაწყენი გამოსულიყო.

ზემოთ ზუგდიდელა მწვრთნელის ერთ კომენტარს გავეცანით და სხვაც მოვისმინოთ: ხუთი ფეხბურთელი გვაკლდა და ჩვენზე ამანაც იმოქმედა, თუმცა „ამერმა" დამსახურებულად მოიგო, რაკი ჩვენზე მაღალი კლასის გუნდია. მსაჯობა კი კარგი ვერ იყო — არბიტრი ორივე გუნდის საზიანოდ ცდებოდა, ოღონდ მატჩის შედეგზე ამას არ უმოქმედიაო.

ერთიც: თამაშის წინ ერთ-ერთი საჯარიმო მოედნის წინა ხაზი არასტანდარტულობის გამო თავიდან გადასახაზი გახდა.

# სომხიშვილს გოლები ეუცხოვა

ახალციხე. 27 ოქტომბერი. 15 საათი. მ. იაძე. 1 200 მაყურებელი

### მესხეთი 0:2 დინამო

| 0:1 სპასოევიჩი (26), 0:2 აკირემი (43) | |
|---|---|
| **მესხეთი:** სომხიშვილი, ლეკიშვილი, გ. ნადირაშვილი, კობესაშვილი, ზ. ძამსაშვილი, ჟვანია, ზ. ჩხეტიანი, თაყაძე (სუდაძე 75), გ. თურმანიძე (მ. ლონდაძე 63), გვირჯიშვილი, დ. ინასარიძე (ძამუნაშვილი 43)<br>*სათადარიგონი:* ვ. აკოფიანი, კველიშვილი, აფრიამაშვილი, კაიდარაშვილი<br>**მწვრთნელი:** კობა თედიაშვილი | **დინამო:** ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობემი, დილმელაშვილი, ხმალაძე, გ. მერებაშვილი (ოდიკაძე 46), ხუციშვილი, სპასოევიჩი (გ. კაშია 90), აკირემი (ვაწაძე 71)<br>*სათადარიგონი:* ლორია, თომაშვილი, გველესიანი, გონჩაროვი<br>**მწვრთნელი:** დუშან უჰრინი |
| **გაფრთხილება:** გვირჯიშვილი (12), სპასოევიჩი (20), ლეკიშვილი (20), ჟვანია (46) | |
| **გაძევება:** სომხიშვილი (43) | |
| **მსაჯები:** ლ. კვარაცხელია; გ. ჩიგოგიძე, ბ. ჭიჭინაძე; ხ. გაგნიძე | |
| **დამკვირვებელი:** დ. ფრანგიშვილი | |

**ნუკრი ლოლაძე ახალციხიდან**

**თბილისის** „დინამოს" ახალციხეში 30-კაციანი ფანკლუბი ჩამოჰყვა და მთელი მატჩი ამხნევებდა თავისიანებს, თუმც ახალციხელებიც არ ყოფილან ჩუმად. ეს კარგი სანახავი იყო, მით უმეტეს, რომ სხვა რაიონებისგან განსხვავებით, მათ ერთმანეთისთვის შეურაცხყოფის მიყენება არც უფიქრიათ.

მეტოქეები თავიდან ტოლ-სწორად ებრძოდნენ ერთმანეთს. დინამოელები თამაშგარის ზღვარზე თამაშობდნენ და „მესხეთის" ფეხბურთელები რამდენჯერმე თამაშგარეში აღმოჩნდნენ.

მე-20 წუთზე დიმიტრი ლეკიშვილს და ილია სპასოევიჩს პატარა შეხლა მოუვიდათ და მსაჯმა ლევან კვარაცხელიამ ორივე ყვითელი ბარათით დაამშვიდა. მალევე დიდიე ოვონო უხეშად შეცდა, უნდოდა, თავისიანისთვის ბურთი ხელით გადაეწოდებინა, რაც ცუდად გამოუვიდა და დავით ინასარიძეს მიეცა გატანის შანსი, თუმც კარს ააცილა.

26-ე წუთზე „დინამო" დაწინაურდა. მარცხენა ფრთაზე გიორგი მერებაშვილმა იაქტიურა, ცოტა შუისკენ შეიწია და კარში დაარტყა, გიორგი სომხიშვილმა ხელში კი დაიჭირა ბურთი, მაგრამ გაუვარდა და ჩასაფრებულმა სპასოევიჩმა საჩუქარი შეირგო — 0:1.

სპასოევიჩი პირველ ნახევარში მარჯვენა ნახევარმცველი იყო, მეორეში კი მარცხენა ფრთაზე გაისარჯა და, უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ.

ატალახებულ მოედანზე „დინამოს" ბურთის გაგორება არ უჭირდა და გუნდებს შორის სხვაობა მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა.

31-ე წუთზე დავით დილმელაშვილის კუთხურს ახალციხელთა კართან ხიფათი მოჰყვა, ხმალაძემ ვერ შეძლო დარტყმა, შემდეგ ზელიჩმა სცადა გატანა, მაგრამ სიზუსტემ უღალატა.

41-ე წუთზე პაატა გვიჯიშვილმა მაზვილი კუთხიდან დაარტყა სახიფათოდ და ოვონოს ნახტომმა გადაარჩინა „დინამო". თბილისელების მორიგ კუთხურს კი მორიგი გოლი მოჰყვა: დილმელაშვილმა ჩააწოდა, ბურთი ფეხბურთელებში აიბლანდა. აკირემიმ როგორღაც მოახერხა ასეთი მდგომარეობიდან დარტყმა, სომხიშვილმა რეაგირება დააგვიანა და ბურთმა კარის ხაზი რომ გადაკვეთა, მერელა გამოაგდო კარიდან. კვარაცხელიამ გვერდით მსაჯ ზურაბ ჭიჭინაძეს გახედა, მან კი ანიშნა, გოლიაო და სომხიშვილიც დასაბმელი გახდა — არბიტრისკენ იწევდა და მიხვდებოდით, როგორი სიტყვებითაც შეამკობდა. კვარაცხელიასაც ბევრი აღარ უფიქრია, სომხიშვილს წითელი აუნთო. ამაზე უკვე გულშემატკივრები გაცეცხლდნენ. ერთი მავთულღობესაც გადაახტა, მოედანზეც შევარდა და რომ არა პოლიციელთა სიფხიზლე, კვარაცხელიას კარგი დღე არ დაადგებოდა.

მატჩი ორი-სამი წუთით შეწყდა...

ახალციხელები დაშოშმინდნენ და მატჩიც გაგრძელდა. სანამ ტაიმი დასრულდა, დინამოელმა გიორგი მერებაშვილმა ტრავმა მიიღო და შესვენებაზე შესაცვლელი გახდა.

მეორე ტაიმთან ერთად წვიმაც დაიწყო და გულშემატკივრებმაც კარგი თავშესაფარი იპოვეს — პრესლოჟა.

სხვათა შორის, მატჩს თვალყურს ადევნებდნენ პროფლიგის ხელმძღვანელი დიმიტრი რამიშვილი და ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე, თუმცა როგორ ახერხებდნენ ამას მეორე ტაიმში, ძნელი სათქმელია...

„მესხეთი" ბევრს ცდილობდა, თუმც ხეირიანი საგოლე შანსი არ მისცემია — თბილისელებმა გვარიანი ფორა მოიპოვეს და თავი დიდად აღარ შეუწუხებიათ.

თანაც მათ მომავალ ტურში ხომ დიდი ბრძოლა ელით შინ „ზესტაფონთან"...

## პრესკონფერენცია

**დუშან უჰრინი:** ვიცოდით, რომ „მესხეთი" უაღრესად მოტივირებული იყო. პირველ ნახევარში ორი საჭირო გოლი გავიტანეთ და მეორე ტაიმის საწყისი წუთები კარგად ვერ დავიწყეთ, თუმცა შემდეგ თამაში გამოვასწორეთ.

**კობა თედიაშვილი:** „დინამოს" ვულოცავ გამარჯვებას, 50 წუთი „დინამოსთან" კაცნაკლული თამაში ძნელია. ჩემმა ფეხბურთელებმა, რაც შეეძლოთ, იბრძოლეს და წაგების მიუხედავად მათი მადლობელი ვარ.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 10 ტური



რონ ონიანის სუპერგოლი

მალხაზ ახალკაციშვილის ფოტო

# ორი გიორგი, ორი ჭელიძე, ორი ორიანი

ზესტაფონი. 28 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური. 4 000 მაყურებელი

## ზესტაფონი 2:0 სპარტაკი

1:0 გ. ნოდ. ჭელიძე (22), 2:0 ონიანი (23)

**ზესტაფონი:** ჭანტურია, ს. თოდუა, შ. ლონლაძე, კ. ჩხეტიანი, უ. ლობჟანიძე, ჟონატასი (ნ. კვასხვაძე 73), რ. ონიანი (ბიტოო 54), კესანი, გ. ნუგ. ჭელიძე, ფიფია, გ. ნოდ. ჭელიძე (გ. ხიდეშელი 81)
სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, იონანიძე, დაუშვილი, ბ. გოცირიძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**სპარტაკი:** ქვილითაია, კეტაშვილი, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, გ. ხიდეშელი (კ. ავალიანი 69), ჩირიკაშვილი, თარხნიშვილი (მედოევი 89), პარამონოვი (გოგოლაძე 81), გოგოხია, კუპრეიშვილი
სათადარიგონი: კოდალაევი, ტატაევი, თექთუმანიძე, ივანიშვილი
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**გაფრთხილება:** ლობჟანიძე (30), ჩირიკაშვილი (38)

**მსაჯები:** მ. ურუშაძე; ა. გუნთაძე, შ. ქუხილავა; ჟ. ბუიშვილი

**ოთარ მაღლაკელიძე** ზესტაფონიდან

**თბილისის** „დინამოს" ახალციხეში გამარჯვებით მეორე ადგილზე ჩანაცვლებულმა „ზესტაფონმა" ლიდერობა ერთ დღეში დაიბრუნა. იმერლები ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ ცხინვალის „სპარტაკს" შინ ქულას რომ არ გაატანდნენ, ამაში არც ერთ ზესტაფონელს ეჭვი არ ეპარებოდა. მეტიც, ყველა იოლ გამარჯვებას ელოდა. ამასთან, სწორედ ამ თამაშში უნდა დარღვეულიყო „ზესტაფონის" უშედეგო პირველი ტაიმების ტრადიცია. ასეც მოხდა, თემურ მახარაძის შეგირდებმა სამქულიანი საქმე ნახევარ ტაიმში მოამთავრეს.

ანგარიში 22-ე წუთზე გაიხსნა გიორგი ჭელიძეების კომბინაციის შემდეგ — ნუგზარის ძის ფლანგიდან ჩაწოდებულს ნოდარის ძემ დაუხვედრა ფეხი.

ერთ წუთში ფიფიამ ლამის უიმედოდ წინ გაგდებული ბურთი ლამაზად შეაბრუნა საჯარიმოში, იქ კი რონ ონიანი დაუხვდა და უხერხული პოზიციიდან ეფექტური გოლი გაიტანა.

ამ ორწუთიანი მონაკვეთის შემდეგ ყველა გოლების წვიმას ელოდა, მაგრამ მოულოდნელად „ზესტაფონი" გაჩერდა.

ტაიმი ისე მიილია, სტუმართა საჯარიმოში და მისადგომებთან დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა. ბურთი ძირითადად ცენტრში გორაობდა და სანერვიულო არც ერთ მეკარეს არ გასჩენია.

„სპარტაკი" პირველ ნახევარში ერთადერთხელ დაემუქრა გრიგოლ ჭანტურიას კარს. სწრაფი კონტრშეტევა ნუკრი გოგოხიამ შორეული დარტყმით დააგვირგვინა და ბურთი ცხრიანს სანტიმეტრებით ასცდა. თუმცა ეს მომენტი ანგარიშის გახსნამდე იყო, ისევე, როგორც პოლ კესანის ოციოდ მეტრიდან გასროლა და მაქსიმე ქვილითაიას ვაჟკაცობა.

საგოლე აგრესია „ზესტაფონს" არც შესვენების შემდეგ ეტყობოდა. ორბურთიანი სხვაობის გაზრდის შანსი მასპინძლებს ერთადერთხელ მიეცათ. 62-ე წუთზე კახა ჩხეტიანმა საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან ქვილითაიას შორეულ კუთხეში ჩაუბზრიალა ბურთი, მაგრამ ხარიხას გაარტყა. გადმოვარდნილს კი ნუგზარის ძემ ხეირიანად ვერ დაამატა.

მოსაწყენი თამაში ოდნავ გამოაცოცხლა შეცვლაზე შესულმა გაბონელმა ეტიენ ბიტოომ, მაგრამ მის რამდენიმე ფლანგურ გარღვევას ხიფათი ერთხელაც არ მოჰყოლია.

### პრესკონფერენცია

კობა ჟორჟიკაშვილი: დღეს ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი გვაკლდა — ბახტურიძე, ჯანელიძე და ძარია. ისინი ზესტაფონიდან იჯარით არიან ჩვენთან და დღეს კლუბებს შორის წინასწარი შეთანხმების გამო დაგვეხმარნენ. ახალშექმნილი გუნდის კვალობაზე ურიგოდ არ გვითამაშია, მაგრამ... ზესტაფონური საფეხბურთო გარემო ჩემთვის უცხო არ არის, ამ კლუბში მეც მიმუშავია და კარგად ვხედავ, ხელმძღვანელობის გეგმაზომიერი მუშაობა ნელ-ნელა ნაყოფს იხხამს. წარმატებებს ვუსურვებ.

თემურ მახარაძე: უმნიშვნელოვანესი სამი ქულა ავიღეთ. „სპარტაკის" რამდენიმე თამაში მქონდა ნანახი და დღესაც დავრწმუნდი, რომ ძალიან სიმპათიური გუნდია. საბედნიეროდ, სწრაფი გოლებით დავწინაურდით. მერე კი სტრატეგიული და ტაქტიკური თამაში იყო და ცოტა ძალებიც დავზოგეთ. დღეს ტრავმირებული ვიეირა და საჯაია გვაკლდნენ. სავარაუდოდ, ორ კვირაში ორივე მწყობრში იქნება.

გორი. 27 ოქტომბერი. 15 საათი. თ. ბურჯანაძე. 200 მაყურებელი

## დილა 0:0 ბორჯომი

**დილა:** კუხუაშვილი, ბალიაშვილი, მასურაშვილი, დ. ხანიშვილი, ბალაშვილი, ნ. ნოზაძე, ტლაშაძე, ბ. ჩიტაია, შატაკიშვილი (სადალაშვილი 81), სულთანიშვილი (ლომიძე 89), სამადაშვილი (იჩქითი 89)
სათადარიგონი: თ. ილურიძე, კურტანიძე, ლ. თურმანიძე, ი. თაყაძე
**მწვრთნელი:** მამუკა ვარდოსანიძე

**ბორჯომი:** შეყრილაძე, თ. ლონლაძე, ლ. ჭელიძე, ლ. მერებაშვილი, აკობია, მემარნიშვილი, ნერგაძე, ბაბუნაშვილი (თედიაშვილი 87), შ. გრიგალაშვილი, შ. ჯიქია, კ. ხანიშვილი (გოგიჩაიშვილი 89)
სათადარიგონი: გლუნჩაძე, ყველაშვილი, ქარქუზაშვილი, დევიძე, ნასყიდაშვილი
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**გაფრთხილება:** ლ. ჭელიძე (14), მასურაშვილი (23), ბ. ჩიტაია (27) მერებაშვილი (60), გრიგალაშვილი (69)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ს. სპიცინი; დ. სანაია

# გორში დაცვამ უფრო იმუშავა

## რამდენი თითი იყო საჭირო?

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**მატჩი** ნელ ტემპში დაიწყო და მეტოქეები იმდენად უნიათოდ ირჯებოდნენ, რომ 90 წუთის განმავლობაშიც მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი სახიფათო მომენტი შექმნეს, რაც საბოლოოდ ანგარიშზეც აისახა.

ბორჯომელებმა მალე მოიპოვეს ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ ამით ბევრი ვერაფერი იხეირეს, რადგან „დილას" დაცვითი ხაზი მათთვის გადაულახავ ზღუდედ აღიმართა.

მე-5 წუთზე შოთა გრიგალაშვილმა კარგად გადააწოდა შოთა ჯიქიას, მაგრამ მისი თავური დარტყმა „დილას" მცველებმა კუთხურზე მოიგერიეს.

ორ წუთში თავად გრიგალაშვილმა შეუტია და შორიდან შეეცადა მასპინძელთა კარის აღებას, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა.

22-ე წუთზე „დილამაც" მოახერხა მომენტის შექმნა. გურამ სამადაშვილმა დაახლოებით 20 მეტრიდან ბურთი ძირს დაუშვებლად დაარტყა „ბორჯომის" კარში, მაგრამ არაზუსტად.

მალე ისევ ბორჯომელებმა შეუტიეს, გიორგი ნერგაძემ კარგად დაუგდო ბურთი გრიგალაშვილს საჯარიმო მოედნის ხაზთან, დარტყმა კი კვლავ არაზუსტი აღმოჩნდა.

მეორე ნახევარში გუნდები ცოტათი ამოძრავდნენ და თამაშის ტემპმაც იმატა. 52-ე წუთზე გრიგალაშვილმა „დილას" საჯარიმოში კარგად მოძებნა ჯიქია და ანგარიშიც თითქოს უნდა გახსნილიყო, მაგრამ თავდამსხმელმა სუსტად დაარტყა და ბურთი პირდაპირ ხელებში მიაწოდა „დილას" მეკარეს.

„ბორჯომი" ნელ-ნელა აძლიერებდა შეტევებს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, „დილას" დაცვა შეუვალი იყო.

მატჩის ბოლო თხუთმეტ წუთში კი მასპინძლებს შეეძლოთ, გამარჯვებისთვის მიეღწიათ, რადგან შეტევებში გართული „ბორჯომი" მათ კონტრშეტევებს ყოველთვის ვეღარ ანეიტრალებდა.

„დილამ" ორი საგოლე მომენტი შექმნა: 75-ე წუთზე სამადაშვილმა ისარგებლა მემარნიშვილის უყურადღებობით, აართვა ბურთი და მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ მისი დარტყმა მახვილი კუთხიდან არაზუსტი გამოვიდა. 84-ე წუთზე კი კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი შეტევაში ჩართულმა ბალიაშვილმა შეუჩერებლად გადაგზავნა მეტოქის კარში, მაგრამ შეყრილაძემ კარგი რეაქცია გამოავლინა და გოლისაგან იხსნა საკუთარი კარი.

მატჩის მიწურულს მწვრთნელებმა შეცვლებს მიმართეს, თუმცა ამას თამაშზე რამე გავლენა არ მოუხდენია და საბოლოოდ გუნდები უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს — 0:0.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

პირველი ლიგა

11 ტური

### აღმოსავლეთი

ოლიმპიკი 0:1 ჩიხურა

დღეს:

ოლიმპი 2 — კახეთი

ამერი 2 — ვიტ ჯორჯია 2

გაგრა — მეშაქრე

ხვალ:

დინამო 2 — ნ. დინამო-მერანი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 10 | 6 | 3 | 1 | 20:15 | 21 |
| მეშაქრე | 10 | 6 | 1 | 3 | 21:14 | 19 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 10 | 4 | 4 | 2 | 12:6 | 16 |
| დინამო 2 | 9 | 4 | 3 | 2 | 16:10 | 15 |
| ჩიხურა | 11 | 4 | 3 | 4 | 11:15 | 15 |
| ამერი 2 | 10 | 4 | 2 | 4 | 16:16 | 14 |
| ოლიმპი 2 | 9 | 3 | 3 | 3 | 11:8 | 12 |
| ოლიმპიკი | 11 | 3 | 3 | 5 | 15:18 | 12 |
| კახეთი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:14 | 12 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 10 | 0 | 1 | 9 | 7:25 | 1 |

### დასავლეთი

კოლხეთი 2:2 ხობი

ფაზისი 1:3 მაღაროელი

დღეს:

ტორპედო — მეშახტე

მარტვილი — ზესტაფონი 2

სამტრედია — უნივერსიტეტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 11 | 9 | 2 | 0 | 26:8 | 29 |
| მეშახტე | 10 | 7 | 0 | 3 | 19:18 | 21 |
| მარტვილი | 10 | 5 | 3 | 2 | 11:6 | 18 |
| კოლხეთი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:15 | 13 |
| ტორპედო | 9 | 3 | 3 | 3 | 14:12 | 12 |
| ხობი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:18 | 12 |
| ზესტაფონი 2 | 8 | 3 | 2 | 3 | 12:8 | 11 |
| უნივერსიტეტი | 10 | 3 | 1 | 6 | 7:10 | 10 |
| ფაზისი | 10 | 2 | 2 | 6 | 15:21 | 7 |
| სამტრედია | 10 | 1 | 2 | 7 | 10:25 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველები უცხოეთში





კახა კალაძე მირკო ვუჩინიჩის წინააღმდეგ

AFP

## მუჯირის გოლი და თითქმის ჩემპიონები

**„მილანმა“** სერია A-ში მეხუთე საშინაო მატჩი გამართა და კვლავ ვერ მოიგო — კახა კალაძეს და „შავ-წითლებს“ „რომას“ ჩერნიგორიელმა მირკო ვუჩინიჩმა გამოუყვანა წირვა. ჩემპიონთა ლიგის მფლობელს ჩემპიონატში 9 თამაშიდან ოდენ 10 ქულა აქვს და ცხრილის შუაში კი არა, უფრო ქვემოთაა. კალაძემ რომაელებთან სრულად ითამაშა, ბოლო წუთებში კაპიტნის სამკლავურიც ეკეთა. კახამ ჩვეულებრივ, დინჯად ითამაშა, დიდად აქტიური კი არ ყოფილა.

რუსულ პრემიელიგაში ერთი ქართული გოლი გამოცხვა: „კრილიას“ დავით მუჯირი ცსკა-სთან 43-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და 53-ეზე გაიტანა. ამ დროს სამარელები 0:3-ს აგებდნენ, საბოლოოდ კი 2:4 დათმეს. მუმუმ საჯარიმოში მიიღო ბურთი და სანამ მცველი მისკენ დაიძრებოდა, მეკარეს აუღებელი დაურტყა.

შეცვლაზე შევიდა **გოგიტა გოგუაც**, 20 წუთი იბურთავა „სატურნ“ — „სპარტაკის“ (0:0) შეხვედრაში და ამ მცირე დროში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო მინდორზე.

ყაზანის „რუბინს“ შინ „კუბანთან“ რომ მოეგო, პრემიერლიგაში საგაისოდ ადგილს გაინაღდებდა, თუმცა 2:2 ითამაშა და ბოლო ორ ტურში საბრძოლო აქვს. რუბინელთაგან ლაშა სალუქვაძემ 72-ე წუთი ითამაშა, ნუკრი რევიშვილი კი სათადარიგო იყო.

მცირე ტრავმის გამო „ლოკომოტივის“ მალხაზ ასათიანმა „ტომთან“ საშინაო მატჩში (0:0) ვერ ითამაშა, „ლუჩ-ენერგიას“ გამთამაშებელმა **ლევან გვაზავამ** სრულად ითამაშა „ხიმკისთან“, მისიანებმა კი 0:3 წააგეს.

**ალეკო ამისულაშვილის** „ნალჩიკმა“ მოსკოვის „სპარტაკს“ საქმე ვერ გაუკეთა — 0:3 წააგო „ზენიტთან“, რომელიც პირველ ადგილზე გადახტა. თავად ნალჩიკელები კი არგავარდნისთვის იბრძვიან, ამისულაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, თუმც მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია.

წინა მატჩი გამოტოვა, თუმც ამჯერად 90 წუთი გაისარჯა „შტურმში“ **გიორგი შაშიაშვილი**. გრაცელები 0:0 გაეყარნენ „ალტახს“ და ცხრილის შუაგულში არიან.

ლატვიაში თითქმის საჩემპიონო მატჩი მოიგო **ზურაბ მენთეშაშვილისა** და დავით იმედაშვილის „ვენტსპილსმა“: შინ 1:0 სძლია „მეტალურგს“ და ერთი ტური დარჩა, რომლის მოგების შემთხვევაში მიჯრით მეორედ იჩემპიონებს. მენთეშაშვილმა შეუცვლელად ითამაშა.

ერთბაშად სამმა ქართველმა, **ნუკრი მანჩხავამ, აკაკი ხუბუტიამ** და გივი კვარაცხელიამ ითამაშა „კაუნასის“ შემადგენლობაში და 5:0-იც მოიგეს სტუმრად „ქალგირისთან“. მანჩხავა-კვარაცხელიამ 90-90, ხუბუტიამ კი 62 წუთი დაჰყვეს მინდორზე. „ვენტსპილსისა“ არ იყოს, „კაუნასიც“ თითქმის ჩემპიონია.

უკრაინაში „არსენალის“ თავკაცმა ალექსანდრ ზახაროვმა გიორგი დემეტრაძე შეაქო. არადა, სულ 15 წუთი ათამაშა შეცვლაზე. „მეთოფეები“ 0:0-ს დასჯერდნენ „კრივბასთან“.

„დემე შესანიშნავი ფეხბურთელია, თუმც „კრივბასს“ ტანმაღალი მცველები ჰყავს და ამიტომ არ დავაყენე ძირითადში“ — თქვა ზავაროვმა.

„ნაფტოვიკმა“ ვასილ გიგიაძის გარეშე უგოლო ფრეს მიაღწია **კახა ალადაშვილისა** და **ოთარ მარცვალაძის** „ზაკარპატიესთან“. უჟგოროდელთა ქართველები მაინცდამაინც აქტიურები არ ყოფილან.

მარცვალაძემ 70 წუთი იბურთავა, ალადაშვილი კი 36-ეზე შეცვალეს.

„მეტალისტის“ ძირითადში დაბრუნდა ლაშა ჯაკობია და 80 წუთიც ითამაშა დონეცკის „მეტალურგთან“ (1:1). ჩვენიანი ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ლუგანსკის „ზარიამ“ „ტავრიასთან“ 2:0 დათმო. ლადო ბურდული ძირითადში იყო, ყვითელი ბარათი მიიღო და 55-ე წუთზე შეცვალეს, გიორგი ციმაკურიძე კი სათადარიგო გახლდათ.

„დნიპრომ“ 1:0 სძლია დავით კვირკველიას „ზაპოროჟიეს“. კვირკველიამ 90 წუთი ითამაშა და ორჯერ სახიფათოდაც დაარტყა მასპინძელთა კარისკენ. დნიპროელთაგან კი ჯაბა კანკავა 55-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე.

გერმანიის ბუნდესლიგაში ლევან კობიაშვილის გარეშე მოთამაშე „შალკემ“ შინ 1:1 ითამაშა „ვერდერთან“, ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუემ“ კი ზედიზედ მოგებებს ფრეების სერია მიაყოლა — ამჯერად „ჰანზას“ უგოლოდ გაეყარა სტუმრად.

„აკუნა“ 90 წუთი სათადარიგოთა სკამიდან უყურებდა მატჩს.

მეორებუნდესლიგელი ქართველებიდან ტური მხოლოდ **დავით სირაძემ** ჩაათამაშა: მისმა „პადერბორნმა“ „კიოლთან“ 1:2 წააგო, ჩვენიანმა კი შეუცვლელად ითამაშა და პირველივე წუთზე ჰქონდა ნახევარმომენტელი, თუმც კარს ააცილა.

და სხვები?

**მათე ღვინიანიძე** დისკვალიფიცირებულია, **ოთარ ხიზანეიშვილი** და ილია კანდელაკი კი „კარლ ცაის“ — „ფრაიბურგის“ მატჩში სათადარიგოები იყვნენ.

**სანდრო იაშვილმა** 14 წუთი ითამაშა შვეიცარიული სუპერლიგის ტურში, სადაც მისმა „თუნმა“ ჩემპიონ „ციურიხს“ ქულები ასცანცლა — 1:1.

ინგლისში „ბლექბერნი“ სასწაულ სვლაზეა, ახლა „ტოტენჰემს“ მოუგო ლონდონში 2:1, თუმც **ზურაბ ხიზანიშვილს** წვლილი არ შეუტანია — „ვარდების“ მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

**ილია ნანობაშვილი**

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

**რუსთავი. 27 ოქტომბერი. 12 საათი. ფოლადი. 100 მაყურებელი**

**რუსეთი 3:1 სლოვაკეთი**

1:0 მაკაროვა (23), 1:1 მაშლეიოვა (40), პორნაკოვა (63ს.კ.), 3:1 აბოზოვიჩუტე (80)

**რუსეთი:** შიზოკოვა, ანანიევა, შეიკინა, აკიმოვა (ფროლოვა 53), გასპარიანი (ზინოვიევა 77), აბოზოვიჩუტე, კოლატკოვა, ჟიასტინოვა, მაკაროვა, კალაჩევა (ხოლოვიაგა 70), მატიუშინა

**მწვრთნელი:** ვლადიმირ ანტონოვი

**სლოვაკეთი:** პაიონკოვა, პორნაკოვა, კუპეჩკა, ბიროვა, სტეფანოვა, შკორვანკოვა, მალშეიოვა, ვოიტკოვა, რანდოვა, ჩუბაკოვა, პურკეიოვა (პოლაკოვა 75)

**მწვრთნელი:** კატარინა პაქსნეროვა

**გაფრთხილება:** ვიოტეკოვა

**მსაჯები:** ე. კასკანტირი (საბენრძნეთი); ს. გოგოუ (საბერძნეთი), ლ. გახოკია (საქართველო); ლ. სილაგავა (საქართველო)

**თბილისი. 27 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 300 მაყურებელი**

**ინგლისი 13:0 საქართველო**

1:0 მარში (2), 2:0 ჯეინი (6), 3:0 ნობსი (17), 4:0 კრინენი (26), 5:0, 6:0 ჰოლბრუკი (29, 30), 7:0 სტოუკსი (35), 8:0 როუზი (53პ), 9:0, 10:0, 11:0 ნობსი (66, 70, 76), 12:0 ფორმესტონი (79), 13:0 პიტმენი (80)

**ინგლისი:** კერი, ბრონზი, ჰოლბრუკი, როუზი, კოული (ოსბორნ-რიკეტსი 60), ჯეინი, კრისტიანსენი, კრინენი (პიტმენი 41), ნობსი, სტოუკსი (ფორმესტონი 71)

**მწვრთნელი:** საიმონ რაიტი

**საქართველო:** ჩაბაშვილი, პასიკაშვილი (პაქსაშვილი 80), სუთიძე, ჯოხაძე, ტოკლიკიშვილი, ხვედელიძე, თათუაშვილი, დიასამიძე, ლომიძე, კვალიაშვილი, სალუქვაძე

**მწვრთნელი:** მაია ჯაფარიძე

**გაფრთხილება:** სუთიძე, კოული, კრინენი

**მსაჯები:** დ. ჟელევა-ტერზიევა (ბულგარეთი); ე. მარინოვა (ბულგარეთი), ს. მიტერლეხნერი (ავსტრია); კ. ბანგო ავსტრია)

**დღეს:** საქართველო — რუსეთი (რუსთავი, „ფოლადი“, 12 საათი)
ინგლისი — სლოვაკეთი (თბილისი, „მიხეილ მესხი“ 15 საათი)

## საქართველომ ინგლისს ქართულად უმასპინძლა

**შაბათს** რუსთავის „ფოლადზე“ 17-წლამდელ გოგონათა შორის ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ შეხვედრაში რუსეთმა 3:1 სძლია სლოვაკეთს, 15 საათზე კი ინგლისისა და საქართველოს 17-წლამდელ გოგონათა მატჩში ბრიტანელებმა 13:0 იმარჯვეს.

17-წლამდელ გოგონათა ოფიციალური მატჩების ხანგრძლივობა 80 წუთია (თითო ტაიმი 40 წუთი).

ცნობისთვის: 17-წლამდელ გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონატი გაისად პირველად ჩატარდება.

**ბაჩა შალამბერიძე**



საქართველოს თასის ფინალი. 27 ოქტომბერი. ქუთაისი. „ტორპედო"

# ყოჩები 13:6 ლოკომოტივი



მალხაზ ახალციხელის ფოტოები



# თასის ყოჩი ყოჩებია

**ყოჩები:** კუპრეიშვილი, გეგენავა, კაჭარავა, აფანაია, ნიჟარაძე, კიკნაძე, ხელაძე, კობახიძე, დგებუაძე, გენეზაშვილი, არჩუაშვილი, ბელაშვილი, ხარჩილავა, ბრეგაძე, ასეიშვილი
შეცვლაზე შევიდნენ: ახვლედიანი, ჭავჭავაძე, კაჭარავა
ლ: გეგენავა; ზ: კიკნაძე; ნა: კიკნაძე, ნგ: კობახიძე
**ლოკომოტივი:** ასათიანი, გუგავა, ქავთარაძე, ბერძენიშვილი, ანდღულაძე, კვინიხიძე, ლეინჯილია; ზ. მაისურაძე, ყურაშვილი, ი. მაისურაძე, ნიშნიანიძე, კახიანი, მალალაძე, ტურაშვილი, პეტრიაშვილი
შეცვლაზე შევიდნენ: ხეჩიკოვი, მხეიძე, გუჯარიძე
2ს: კვინიხიძე

**ზურაბ მიზრიაული** *ქუთაისიდან*

**შაბათს** ქუთაისში „ტორპედოს" სტადიონზე საქართველოს თასის მეშვიდე გათამაშების ფინალურ მატჩში ორი თბილისური გუნდი ეკვეთა ერთმანეთს. „ლოკომოტივი" — „ყოჩების" საჩემპიონატო დაპირისპირებებს უკვე კარგახნის ისტორია აქვს, მაგრამ ეს ორი ტიტულიანი გუნდი თასის ფინალში პირველად დაეტაკა ერთურთს.

„ლოკომოტივი" შვიდივე გათამაშების ფინალისტია. აქედან ხუთჯერ იმარჯვა, ერთხელ ბათუმის „დათვებთან" უთამაშებლად დათმო ტიტული, ამჯერად კი „ყოჩებმა" დაამარცხეს, თანაც საკმაოდ ადვილად.

თავიდანვე გეტყვით, რატომ არ გაიმართა ფინალური ჯახი თბილისში: ეს ქართული რაგბის ძირძველი საბადოს გამოსაცოცხლებლად მოხდა, რადგან ქუთაისში ერთობ მიინავლა სარაგბო ცხოვრებამ.

შეხვედრის დაწყებამდე ქუთაისის და „ყოჩების" სხვადასხვა საასაკო გუნდების ჯახებს ვადევნეთ თვალი. ქუთათურმა ბავშვებმა ხორუმიც შეგვისრულეს და რამდენიმე წუთში მატჩიც დაიწყო.

როგორც თითქმის ყველა ფინალური შეხვედრის უმრავლესობა, მატჩი ფრთხილი, დაძაბული და არცთუ სანახაობრივი გამოდგა. 80 წუთის განმავლობაში ამინდის ჭირვეულობამაც დაღი დაასვა თამაშის ხარისხს, რაც მობურთალთა ელემენტარულ შეცდომებში აისახა. საწყის ხუთ წუთში ფეხით პინგ-პონგი გაჩაღდა, მაგრამ ამით გუნდებმა ვერ იხეირეს.

შეხვედრის მეათე წუთისთვის მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთში ხელდახელ რაგბობა გააჩაღეს და მატჩიც უფრო საამოდ საცქერი გახდა. ამ კომპონენტში „ყოჩებმა" დაჯაბნეს მეტოქე და პირველი ნახევრის შუაწელში დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში „ლოკომოტივი" მრავალფაზიანი შეტევებით საკუთარ ოცდაორს მიაჯაჭვეს. ბევრჯერ ჩაქცეული რაქი და ხაზზე ბურთის ჩათამაშება თითქოს სალელოვე სიტუაციებს ქმნიდა, მაგრამ მოქმედი ჩემპიონები და თასის მფლობელები თავს წარმატებით იცავდნენ.

„ყოჩების" ხანგრძლივმა შეტევამ შედეგი მაინც გამოიღო. რაქიდან გამოტანილს კიკნაძის არეკნი მოჰყვა და ანგარიშიც გაიხსნა.

ყველაფერ ამას ათწუთიანი გარდამავალი უპირატესობა და ორმხრივი შეტევები მოჰყვა. მოედნის ცენტრთან „ლოკომოტივის" მობურთალს სველი ბურთი დაუსხლტა ხელიდან, იგი „ყოჩებმა" მოიხელთეს და რამდენიმე პასის შემდეგ გეგენავამ ირბინა სალელოვედ, კობახიძემ კი წარმატებით გარდასახა 10:0.

ტაიმის მიწურულს „ლოკო" მიეძალა. რკინიგზელებმა ჯარიმებიც მოიპოვეს, მაგრამ ხშირად დარტყმას აუტს არჩევდნენ, რათა ლელო გაეტანათ, თუმც არაფერი გამოვიდა და პირველი ტაიმიც დასრულდა.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე „ლოკომოტივი" გაშმაგებით ეტაკა მეტოქეს და ორი, მცირე ხანში მოპოვებული ჯარიმაც გამოიყენა. ანგარიში 10:6 გახდა და სიტუაციაც უკიდურესად დაიძაბა, რასაც პატარ-პატარა კინკლაობები მოჰყვა მოთამაშეთა შორის.

რკინიგზელთა ტერიტორიულ უპირატესობას შედეგი არ მოჰქონდა. პირიქით, „ყოჩთა" 10 ნომერმა კიკნაძემ მოედნის ცენტრიდან ჯარიმა გაიტანა და კიდევ უფრო გაზარდა ანგარიშში სხვაობა 13:6.

ფინალის დასრულებამდე შვიდიოდე წუთი რჩებოდა, „ლოკომოტივს" კი მატჩის გადასარჩენად ლელო ყოფნიდა გარდასახეითურთ. ჰქონდათ კიდეც შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენეს და საქართველოს თასის ახალი მფლობელიც გაირკვა.

# იყო ლოკომოტივი გახდა ლიგამუსი

**საქართველოს** თასის ფინალში თბილისურ დერბიში „ლოკომოტივმა" „ყოჩებთან" რომ წააგო, სახელიც გადაირქვა. ამიერიდან აწ უკვე ყოფილი „ლოკომოტივი" „ლიგამუსის" სახელით ითამაშებს. „ლიგამუსი" ლათინური სიტყვაა, ქართულად კი „ვაერთიანებთ" ნიშნავს.

„ლიგამუსი" ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დევიზია, რომელთანაც გაერთიანდა კიდეც სარაგბო კლუბი. ეს იმით აიხსნება, რომ გუნდის მწვრთნელი და პატრონი თემურ ბენდიაშვილი ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიის პრორექტორი იყო, ორი სასწავლებლის გაერთიანების შემდეგ კი თანამდებობაზე დარჩა და კლუბი უნივერსიტეტს შეუერთდა.

ყოფილი „ლოკომოტივი" 1969 წელს დაარსდა. 1987 წელს, გახმაურებული „თვითმფრინავის სკანდალის" შემდეგ გუნდი დაიშალა და სახელიც ჩამოერთვა. 1997 წლიდან ერქვა „ელმავალი", მერე „ვესტა", „თბილისი" და ბოლოს „ქორები". თემურ ბენდიაშვილმა ახლანდელი სახელი გუნდს 90-იანი წლების ბოლოს აღუდგინა. ორი დღის წინ კი „ლოკომოტივი" „ლიგამუსად" გადაიქცა.

ფიგურული ციგურაობა

# ელენე გედევანიშვილის პირველი ამერიკული

**გუშინ,** ჩვენი დროით გამთენიისას, დაიწყო სამდღიანი საციგურაო ტურნირი „სკეიტ ამერიკა", რომელიც ფიგურული სრიალის საერთაშორისო კავშირის (ISU) გრან პრის პირველი ეტაპია და სეზონის პირველი გამორჩეული შეჯიბრი გახლავთ.

„სკეიტ ამერიკა" აშშ-ის ჩრდილოეთ ქალაქ რიდინგში ჩატარდება და თორმეტ მოსრიალე ქალს შორის იქნება ჩვენი 17 წლის ელენე გედევანიშვილი, ვინც შარშანდელს აქეთ ამერიკაში ცხოვრობს და ვარჯიშობს. ტურნირზე უნდა ესრიალა პირმშვენიერ ფინელს კირა კორპს, მაგრამ ტრავმის გამო მონაწილეობა იუარა და ტურნირის ფავორიტობა მსოფლიოს ჩემპიონს, იაპონელ მიკი ანდოს გადაულოცა. ფავორიტებში არიან შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი, შვეიცარიელი კიმი მაისნერი და ამერიკელი სარა ჰიუზი. თავად ამერიკელი ჟურნალისტები კი ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონს, კიდევ ერთ მასპინძელ კაროლინ ჩანგს გამოყოფენ, რომლისთვისაც დიდებში ეს სადებიუტო ტურნირი იქნება. რაც შეეხება გედევანიშვილს, მას ხუთეულს არა, მაგრამ მეექვსე ადგილს უწინასწარმეტყველებენ, რაკი რუსეთიდან ელენეს ოჯახის დეპორტაციის შემდეგ ჩვენს მოციგურავეს გეგმები აერია, ნორმალურად ვერ ივარჯიშა და მსოფლიო რეიტინგში საუკეთესო ოცეულიდანაც გავარდა.

ახლა გედევანიშვილი ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ჰაკენსეკში ვარჯიშობს. მისი მწვრთნელი რუსი რომან სეროვია, ქორეოგრაფი კი — ნიკოლაი მოროზოვი.

კენჭისყრით, მოკლე პროგრამას ელენე გედევანიშვილი მეშვიდე ნომრად, ამერიკელი კომპოზიტორის ჯონ კანდერის „კაბარეს" შეასრულებს, ხოლო თავისუფალ პროგრამაში ფრანგი კომპოზიტორის ფრანსის ლეის ცნობილი „სასიყვარულო ისტორიის" ჰანგებზე ისრიალებს.

**ბაჩო სვანიძე**



## „ჩელენჯ ტროფი“, 25-27 ოქტომბერი. თბილისი, სპორტის სასახლე

# თბილისიდან ნორვეგია გამოჩნდა

## აღმასვლის დაწყება ამ თასიდანაც შეიძლება



**საქართველო 29:27 მოლდოვა**

**საქართველო:** თევზაძე, ანდრიაძე, ქობელაშვილი (5), ანდრიაშვილი, ნიკოლაიშვილი, კობახიძე, ო. ყიფიანი, გრიშიკაშვილი, კალანდაძე, წივწივაძე (3), ჭანტურია (2), მსხვილიძე (4), რუსია (7), დათუკიშვილი (8)
*მწვრთნელი: მამუკა მჟავანაძე*
**მოლდოვა:** ვუკარუკი, ანდრეევი, სერდიუკი, ჯედიცი (5), ალექსანდრ პერვანჩუკი (8), პურიჩი (2), ნენიტა, გარგაუნი, ლუკაშოვი (3), ჩემირტანი (2), სტარიკოვი, ალექსეი პერვანჩუკი (6), ბორეტი (1), ნაზარკო
*მწვრთნელი: ალექსანდრ კოვალჩუკი*
*მსაჯები: ანატოლი ნოვიკოვი, რუსლან პერეპელიცი (უკრაინა)*

**აზერბაიჯანი 41:15 სომხეთი**

**აზერბაიჯანი:** სკრეპცოვი, ქერიმოვი, ბ. აიდამიროვი (2), ფარაჯოვი (5), ე. აიდამიროვი (4), პარშკოვი (3), ალხაზოვი, სალიმოვი (2), ო. გეორგიევსკი (3), ნაზარალიევი (9), ს. გეორგიევსკი (7), მოვიკინი (1), გოჟი (3), ჰუსეინოვი (2)
*მწვრთნელი: ჰიკმატ აბდულიევი*
**სომხეთი:** თუმასიანი, გასპარიანი, დარბინიანი, ტადეოსიანი, მატეოსიანი, ლუკასიანი (1), მატინიანი (1), გ. მელქოიანი (3), მარკოსიანი, ისრაელიანი, უზუნიანი (6), შაჰმაზიანი, ა. მელქოიანი (2), ოჰანიანი (2)
*მწვრთნელი: ხრაჩ ხითარიანი*
*მსაჯები: იგორ კოვალჩუკი, ალექსანდრ კოვალჩუკი (მოლდოვა)*

**თბილისში** ჩატარებული ტურნირის ბოლო, მესამე დღეს უნდა გარკვეულიყო, მოლდოვის ნაკრები ზედიზედ მესამედ მოიპოვებდა საუკეთესოს წოდებას, თუ ქართველები თავის პირველივე ცდაზე შეძლებდნენ ტურნირში გამარჯვებას.

ამ თამაშზე არანაკლებ ინტერესს აზერბაიჯან-სომხეთის დაპირისპირება იწვევდა. აზერებს უკეთესი გუნდი კი ჰყავთ, მაგრამ მათი მეზობლებიც იოლად რომ არაფერს დათმობდნენ, ესეც ცხადი იყო...

ქომაგთა მოლოდინი ნაწილობრივ გამართლდა. ჩვენი მეზობლების თამაში დაძაბულად, ემოციურად წარიმართა. თუმც აზერები ერთი თავით სჯობდნენ მეტოქეს და მათი გამარჯვება წამითაც არ დამდგარა ეჭვქვეშ. თავიდან მეტ-ნაკლებად თანაბარი შეხვედრა იყო, მერე კი აზერბაიჯანმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და პირველ ტაიმშივე გადაწყვიტა თამაშის ბედი — 21:11.

შესვენების მერე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა, აზერბაიჯანი როგორც იტყვიან, გადაურბინა მეტოქეს. თავად განსაჯეთ, მეორე ტაიმი 20:4 მოიგეს და მაგრად გაიხარეს. არა მგონია, ტურნირის მოგება ასე ეზეიმათ.

მასპინძლების წინასამატჩო პროგნოზებში ყველა საქართველო-მოლდოვას გამარჯვებას ვარაუდობდა. მით უფრო, მოლდოვა მართლა არ წყვეტდა ვარსკვლავებს. მთავარი იყო, ჩვენს ნაკრებს თვითონ არ შეექმნა პრობლემები საკუთარი თავისთვის. ასეც გამოვიდა. ის, რომ გუნდები ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთმანეთს და გამარჯვებულის ბედი ფაქტობრივად ბოლო წუთებზე გადაწყდა, დიდწილად სწორედ ქართველთა მიერ დაშვებული შეცდომების ბრალი იყო, თორემ რამდენჯერმე ოთხქულიანი გაქცევა რომ შეგვძლით, უკვე მაშინ უნდა მოგვემთავრებინა საქმე.

თავიდან ნერვიულად დავიწყეთ და მეტოქე 2:0 გაგვექცა. მერე ნელნელა დავლაგდით, გოლების გატანა დავიწყეთ და მე-8 წუთზე დათუკაშვილის გამოყენებული შვიდმეტრიანი საჯარიმოთი პირველად გავედით წინ. იმდენად დაძაბული თამაში მიდიოდა, მეტოქეებს წამითაც არ ჰქონდათ ამოსუნთქვის საშუალება. დაცვაში ვცდებოდით და მოლდოვა ამით კარგად სარგებლობდა. ის, რომ ტაიმი სულაც არ წავაგეთ, ეს შოთა თევზაძის დამსახურებაა. საერთოდ კი ამ კაცმა მოლდოვის დამარცხებაში ლომის წილი დაიდო. ძნელია იმ სიტყვების პოვნა, რითაც მისი საოცარი თამაში შეფასდებოდა. უბრალოდ გეტყვით, რომ საქართველოს ნაკრების კარს იმ დღეს შოთა თევზაძე იცავდა, ვინც 25 (!) დარტყმა მოიგერია და ძალიან, ძალიან მაგრად ითამაშა!...

თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ტაიმის მოგება მაინც შეგვეძლო 12:12-ზე, 20 წამით ადრე შესვენებამდე, ვლადიმერ რუსია მეკარესთან პირისპირ გავიდა და ბურთი კარს ზემოთ გააფრინა...

მეორე ტაიმი კარგად დავიწყეთ, რაც პირველ რიგში დაცვაში ხარვეზების აღმოფხვრამ განაპირობა. ბიჭები მოედანზე უფრო აგრესიულები, მობილიზებულები და რაც მთავარია, შედარებით დამშვიდებულები გამოვიდნენ. მოლდოვამ ბურთის გატანა მხოლოდ 7 წუთის გასვლის შემდეგ შეძლო, ამ დროს უკვე 17:12 ვიგებდით. მათმა მთავარმა მწვრთნელმა მაშინვე წუთშესვენება აიღო. მისმა ნაბიჯმა მოგვიანებით გაამართლა, სტუმრებმა გოლების გატანა დაიწყეს და მე-18 წუთზე ტაბლოზე 21:21 აენთო.

ამის მერე თამაში ისევ ქულაქულაში წავიდა და გადამწყვეტი 26-ე წუთიც დადგა, როცა დათუკაშვილმა ანდრეევს აუღებელი დარტყმა და 27:23 გაგვაქცია. ნათელი იყო, მოლდოვა ოთხი ბურთის ამოქაჩვას ველარ შეძლებდა. დარჩენილ წუთებში ყურადღებით თამაში, ბურთის დიდხანს გათამაშება გვმართებდა და გამარჯვებასაც მოვიპოვებდით.

მოლდოვამ მაინც გაიბრძოლა და ანგარიშის შემცირებაც მოახერხა, რაშიც დახმარება მსაჯებმაც გაუწიეს. ბოლო წუთებზე ქართველები სამნილა თამაშობდნენ, ნახევარი გუნდი გაძევებული იყო. მთლიანობაში ნაკრებმა დამსახურებულად მოიგო, ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი კი უთუოდ ვლადიმერ რუსია და სერგო დათუკაშვილი იყვნენ, ბუნებრივია, თევზაძესთან ერთად. გარჯას არც სხვებს დავუკარგავთ — შეუპოვრად იბრძოდა კაპიტანი ქობელაშვილი და ყველა, ვინც მოედანზე თუნდაც წუთით შევიდა.





ტურნირის საუკეთესო მოთამაშე სერგო დათუკაშვილი და ნაკრების მთავარი მწვრთნელი მამუკა მჟავანაძე

მატჩისშემდგომ დაჯილდოებაზე გიორგი ქობელაშვილს ევროპის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ჟან ბრიოლმა გადასცა თასი. დაასახელეს საუკეთესო მოთამაშეებიც — სერგო დათუკაშვილი ტურნირის საუკეთესო ხელბურთელად ცნეს, მან ბომბარდირობაც გაიყო მოლდოველ ალექსანდრ პერვანჩუკთან ერთად.

აქვე ტურნირის სიმბოლური ნაკრებიც: შოთა თევზაძე, რევაზ ჭანტურია, გიორგი წივწივაძე, სერგო დათუკაშვილი (ყველა საქართველო), ემირ აიდამიროვი, ელდარ ფარაჯოვი (ორივე აზერბაიჯანი), ალექსანდრ პერვანჩუკი (მოლდოვა).

რაც შეეხება ჩელენჯ ტროფის ფინალს, საქართველოს ნაკრებს გადამწყვეტი შეხვედრის ჩატარება ლუქსემბურგელებთან 20 იანვარს ნორვეგიაში მოუწევს ევრო-2008-ის მსვლელობის დროს.

***მამუკა მჟავანაძე*** (მთავარი მწვრთნელი) — ძალიან მძიმე თამაში იყო. შედეგზე ვთამაშობდით და უფრო არ გამოგვდიოდა, თუმცა მეორე ტაიმში მაინც გავტეხეთ მეტოქე და დამსახურებულად ვიმარჯვეთ.

***შოთა თევზაძე*** — დაძაბული შეხვედრა გამოვიდა. კარგად ვითამაშეთ და შედეგიც მივიღეთ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ საუკეთესო მეკარედ დამასახელეს. ასევე მეამაყება, რომ ფინალში გავედით.

***გიორგი ქობელაშვილი*** (კაპიტანი) — დასაფასებელი მეტოქე იყო და დავაფასეთ კიდეც. მათ ასეთ თამაშს არ ველოდით. პირველივე ტაიმში შეგვეძლო წინ გასვლა, მაგრამ ვერ შევძელით...

***სერგო დათუკაშვილი*** — ხან ისინი გვჯობდნენ, ხან ჩვენ, თუმცა შევძელით, თამაშის ბედი პირველივე ტაიმში გადაგვეწყვიტა. არა უშავს, შეცდომებს ყველა უშვებს, მთავარია, რომ მოვიგეთ. ძალიან კარგად ითამაშა შოთა თევზაძემ.

***ვლადიმერ რუსია*** — ვიცოდით, რომ იოლი თამაში არ იქნებოდა. მთავარია, ხალხმა ნახა, რომ მოგება შეგვიძლია. აქ რომ ჩამოვედი, წელი მტკიოდა. ეს მეორე თამაშში დამეტყო, თუმცა დღეს ძალები მოვიკრიბე და ბოლომდე დავიხარჯე.

***ტიტე კალანდაძე*** — მეტოქის რეალური ძალა დღეს გამოჩნდა. ჩვენ მათ კარგად არ ვიცნობდით, ამიტომაც გაგვიჭირდა. არ გვეგონა, ასეთ წინააღმდეგობას თუ გაგვიწევდნენ. რამდენჯერმე ჩემი ემოცია ხმამაღლა გამოვხატე. ძნელია, როცა თამაშს სკამიდან უყურებ. მეტად ნერვიულობ. ჯობს, მოედანზე იყო და იქ იხარჯებოდე (ტრავმის გამო ტიტემ მხოლოდ რამდენიმე წუთი ითამაშა).

***რატი მსხვილიძე*** — მიხარია, რომ შედეგს მივაღწიეთ. ემოციურად ვიყავით განწყობილი. მეტოქემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. გუნდმა კარგად ითამაშა. საკუთარ თავზე ვერაფერს ვიტყვი, სხვებმა შემაფასონ.

**ლევან მაისურაძე**

**საბოლოო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 3 | 0 | 0 | 100:68 | 6 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 1 | 91:73 | 4 |
| აზერბაიჯანი | 1 | 0 | 2 | 92:82 | 2 |
| სომხეთი | 0 | 0 | 3 | 49:109 | 0 |

## საქართველოს ჩემპიონატი

# ეროვნულის ახალი (ბელ)ტონი

26 ოქტომბერი. რუსთავი

**აზოტი 97:67 თსუ**

*29:14 19:20 22:18 27:15*

**აზოტი:** გამყრელიძე (9), ბოისა (8), რივერსი (28), სტეფანოვი (14 ქულა, 17 მოხსნა), ფერგიუსონი (5); ბაბიაშვილი (16), ლეჟავა (10), ქოჭუა (4), ლიპარტელიანი (3), დიდია,

**თსუ:** ჩიტაშვილი (5 ქულა, 16 მოხსნა), ხეცურიანი (23), ფანჩულიძე (1), კუიდია (9), მათიაშვილი (14); ყველაშვილი (8), ტყეშელაშვილი (2), ლოსაბერიძე (1), ჯგერენაია (5)

*მსაჯები:* მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე

*კომისარი:* თენგიზ ქიქოძე

28 ოქტომბერი. სპორტის სასახლე

**ვითა 74:61 მაკაბი**

*10:21 25:8 19:15 20:17*

**ვითა:** მარხვაშვილი (7), მარკოიშვილი (8), მ. ბერიშვილი (15), ბეჟანიშვილი (23), ბერძენიშვილი (7); ნ. ნოზაძე (10), ლ. ნოზაძე (2), ძიძიგური (2)

**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (3), ი. ბერიშვილი (8), ვაშაკიძე (8), ს. შერმადინი (8), გ. შერმადინი (27); სორდია (7), პირველაშვილი, კორკოტაძე, კოლუაშვილი

*მსაჯები:* ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე

*კომისარი:* როლანდ ხომერიკი

**ავიამშენი 105:62 დინამო**

*22:16 24:21 27:4 32:21*

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (31), ხოშტარია (9), კვიმსაძე (16), მინაშვილი, როდუმტა (19); ნინიაშვილი (9), ბერაია (5), ტულუში (5), იმნაძე (7), სუხიშვილი (2), ბარბაქაძე (2)

**დინამო:** გულისაბედაშვილი (5), სიგუა, ფაიქრიძე (2), ახალკაცი (12), ათანელაშვილი (3); მაისურაძე (19), ნანიტაშვილი (7), ლაფანაშვილი (7), ჟღენტი (3), კუჭავა (2), წერეთელი (2), დვეიძე

*მსაჯები:* დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა

*კომისარი:* როლანდ გელოვანი

**ტურის** საუკეთესო მოთამაშეს, ძირითადად, ცენტრალური მატჩიდან ასახელებენ, თუმცა ამჯერად გამონაკლისს ჰქონდა ადგილი — „ენერჯი-ინვესტის“ ამერიკელმა ახალბედა ბელტონ რივერსმა იმდენად კარგად ითამაშა თსუ-ს წინააღმდეგ, რომ სხვა მატჩების საუკეთესონი დაჩრდილა.

ეს თამაში პარასკევს გაიმართა. აქვე ვთქვათ, რომ „ენერჯი-ინვესტი“ შინაურ მატჩებს პარასკევს ითამაშებს ხოლმე, ხოლო ტურის დანარჩენი ორი შეხვედრა კვირას სპორტის სასახლეში გაიმართება.

ჰოდა, პარასკევს ჩაუტარა რივერსმაც სტუდენტებს საკალათბურთო გაკვეთილი. რუსთაველებმა ბელტონი ჰოლანდიურ „ასტრონავტსთან“ ორრაუნდიანი ბრძოლისთვის ჩამოიყვანეს, თუმც სანამ ეს მატჩები გაიმართებოდეს, ქვემოქართლელები მისი ნიჭიერებით ეროვნულ ჩემპიონატშიც სარგებლობენ. თანაც ახალბედა რივერსს გუნდთან შეთამაშება, აქაური კალათბურთისთვის ალღოს აღება მართებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ის უმაღლესი დონის მოთამაშეა და მოედანზე თავს მშვენივრად გრძნობს.

რივერსმა თსუ-ს დამარცხებაში ლომის წილი დაიდო. მან 12 სამქულიანიდან 8 ჩააგდო, მთლიანობაში 28 ქულა მოიხვეჭა და ამას 8 პასი, 5 მოხსნა და 1 ჩაჭრაც მიაყოლა. ბელტონმა შესანიშნავად ითამაშა როგორც მსროლელის, ისე გამთამაშებლის პოზიციაზე და რუსთაველებს იმედი ჩაუსახა, რომ უკანა ხაზში ჰოლანდიელებთან პრობლემები არ შეექმნებათ.

რამდენადაც რივერსმა გაამართლა, იმდენად მოულოდნელია მეორე შავკანიანის, ანვარ ფერგიუსონის პასიურობა. 213-სანტიმეტრიანმა ბაჰამელმა 9 ბურთი კი მოხსნა, მაგრამ შეტევაში ფხა ვერ გამოიჩინა და 5 ქულას დასჯერდა. რუსთაველებმა კი ვარჯიშის დარ მატჩში თსუ იოლად დაამარცხეს და ახლა მთელი ყურადღება „ასტრონავტსთან“ ხვალინდელი თამაშისკენ აქვთ გადატანილი.

რუსთავში დაწყებული ტური გუშინ თბილისში ლამაზად დასრულდა. სილამაზეში თამაშის ხარისხსა და ეფექტურ მომენტებს არ ვგულისხმობთ. გუშინ სპორტის სასახლეში სასიამოვნო პრეცედენტი მოხდა — მხარდამჭერ გოგონათა გუნდმა მაყურებელს ერთობ ლამაზი და მოწესრიგებული წარმოდგენა უჩვენა.

შარშანაც იყო ამის მცდელობა, მაგრამ მაშინ გოგონები ვერც გარეგნობით გამოირჩეოდნენ, ვერც ელასტიკურობითა და ყველაზე დიდ მინუსად არასინქრონულობა ჰქონდათ. ახლა კი ყველაფერი აჟურში იყო. მართალია, ამ გოგონებს ნბა-ს „ჩირლიდერებამდე“ ბევრი აკლიათ, მაგრამ საქართველოს კვალობაზე კლუბ „ვერნისაჟის“ მოცეკვავეთა ეფექტური როკვის ხილვა მართლაც სასიამოვნო იყო.

ეს საცეკვაო ნომრები მხოლოდ ცენტრალურ მატჩს ახლდა, რომელშიც ერთმანეთს „ვითა“ და „მაკაბი“ ერკინებოდნენ. შეიძლება, მავანმა იკითხოს, რის შერკინება, „მაკაბი“ ხომ ბოლო წლების მაჩანჩალა გუნდიაო. იყო მაჩანჩალა, თუმცა ახლა ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდი გვარიანად მოღონიერებულია და ნებისმიერ მეტოქესთან ძალუძს ტოლ-სწორად თამაში. „მაკაბიმ“ გასულ ტურში ვიცე-ჩემპიონი „ავიამშენი“ დაამარცხა და „ვითასთანაც“ დიდ გულზე გავიდა სათამაშოდ, მაგრამ ილაჯი ბოლომდე არ გაჰყვა.

„მაკაბიმ“ მრისხანედ დაიწყო. უფრო სწორად, მისი ცენტრალური თავდამსხმელი გიორგი შერმადინი აქტიურობდა, რომელმაც პირველ მეოთხედში 10 ქულა მიითვალა და თავისიანებს საწყისი ათწუთეული შთამბეჭდავად, 21:10 მოაგებინა.

არავისთვის საიდუმლო არაა, რომ „მაკაბიში“ ყველა შეტევა გიორგი შერმადინზეა აწყობილი. ეს იცოდნენ ვითელებმაც, მაგრამ მას მაინც ვერაფერს უხერხებდნენ. დავით ბერძენიშვილი მჭიდროდ ეთამაშებოდა შერმადინს, მაგრამ გიორგის ძმა, სოსოც აშველებდა ხელს და ხუხაშვილის შეგირდებს ფარქვეშ პრობლემა არ შექმნიათ.

გონივრულად თამაშობდა „მაკაბის“ უკანა ხაზიც, სადაც დავით და ირაკლი ბერიშვილები მძლავრობდნენ. „ვითას“ თავკაცმა „მაკაბის“ დაშამათება სწორედ უკანა ხაზიდან განიზრახა, როცა მოედანზე გიორგი მარხვაშვილის ნაცვლად უფრო სხარტი ნიკო ნოზაძე შეიყვანა. ამან არ გაამართლა და პირველი მეოთხედიც დასრულდა.



ბელტონ რივერსი

საბოლოოდ მაინც ისე გამოვიდა, რომ „მაკაბი“ უკანა ხაზში გაჩენილმა ბზარმა იმსხვერპლა. ხუხაშვილის გუნდმა პირველ მეოთხედში სამი პერსონალური დაიმსახურა და ყველა დავით ბერიშვილის „ანგარიშზე“ იყო. მეორე ათწუთეულის ახალდაწყებულზე კი ტყუპისცალი მეოთხედაც დაჯარიმდა და მწვრთნელმა ის მოედანს განარიდა. აი, აქ აირია „მაკაბიც“, რომელსაც სისწრაფეც მოაკლდა და პერიმეტრიც მოუშიშვლდა. თავის მხრივ, გიორგი შერმადინსაც მოაკლდა კარგი პასებით მომმარაგებელი და ვითელებმა ყველა რგოლში აიშვეს.

ვლადიმერ ბეჟანიშვილმა როგორც ფარქვეშიდან, ისე პერიმეტრიდან იწყო ქულების ხვეჭა. მაკაბელთაგან მისი შემჩერებელი ვერავინ გამოდგა და ვაკომ ვითელებს 11-ქულიანი გარღვევა მოაწყობინა. მეორე მეოთხედის ნახევარი რომ გაილია, ანგარიში გათანაბრდა — 21:21.

დიდი შესვენების შემდეგ „ვითას“ უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. ბეჟანიშვილმა მექულეობას თავი ანება და შერმადინის გაუვნებლებაზე გადაერთო. ზონაში ჩამდგარ „მაკაბის“ კი ტომარაძის გუნდმა სამქულიანები დაუშინა და ოთხწუთიან მონაკვეთში ოთხჯერ მიაღწია მიზანს. გადამწყვეტი მეოთხედის წინ „ვითამ“ ათქულიანი უპირატესობა მოიპოვა — 54:44.

„მაკაბიმ“ ბოლო მეოთხედის დასაწყისში გაიბრძოლა, ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა, მაგრამ „ვითას“ უკანა ხაზმა ერთხელაც იყოჩაღა. გიორგი მარხვაშვილმა დაცვაშიც იჩაუქა, სამიანიც ჩააგდო და შედეგიან გარღვევებსაც ახორციელებდა. ბოლო წუთებმა ისე მოატანა, რომ „მაკაბის“ თამაშის გადარჩენის შანსიც აღარ მისცემია.

**ირაკლი პერტაია**



# ლევან ღვამიჩავა მესამე წრეშია

**ჩიკაგოში,** სადაც მოყვარულ მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს, წუხანდელი ღამე განსაკუთრებულად დატვირთული იქნებოდა ქართული დელეგაციისთვის — მეორე წრის ორთაბრძოლებს ერთბაშად სამი ჩვენებური ჩაატარებდა. 48 კგ წონაში ზვიად ხადური ინგლისელ დარენ ლენგლს შეხვდებოდა, 60 კილოგრამში ვასილ ყაზიშვილი ინდოელ ჯაი ბჰაგვანს დაუპირისპირდებოდა, ხოლო 81 კილოგრამამდე წონაში დავით წიკლაური მექსიკელ ჯოშუა გარსიასთან გაარკვევდა ურთიერთობას.

ეს წუხელ, უფრო სწორად კი, ჩვენი დროით გამთენიისას, ხოლო მანამდე ორი ქართველი მეორედ ავიდა ჩიკაგოს რინგზე და, თუ კობა ფხაკაძემ პირველი გამარჯვების შემდეგ წარმატებით ველარ გააგრძელა ჩემპიონატი, ლევან ღვამიჩავამ მეორედაც იმარჯვა და ახლა მას პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მოსაპოვებლად ერთი, ხოლო მინიმუმ ბრინჯაოს მედლის დასაუფლებლად ორი მეტოქის დამარცხებაღა სჭირდება.

64 კილოგრამამდე წონაში ღვამიჩავას მეორე მოწინააღმდეგე მავანი ჰენდრიკ პელსვუკი იყო და ქართველის აშკარა უპირატესობის გამო ჩხუბი მესამე რაუნდში შეწყდა. ამ დროისთვის ჩვენებური 25:5 იგებდა.

სამწუხაროდ, 57 კილოგრამამდე წონაში ფხაკაძემ ვერაფერი მოუხერხა ჩინელ ლი იანგს და უიმედოდ — 2:15 (1:2, 0:5, 1:4, 0:4) დამარცხდა.



ევროპის გუნდური ჩემპიონატი

კრეტა. საბერძნეთი. 27 ოქტომბერი — 7 ნოემბერი

# ევროპა კუნძულზე

**ბერძენთა** თვალწარმტაც კუნძულ კრეტაზე ევროპის გუნდური ჩემპიონატი დაიწყო. ქალთა და კაცთა შეჯიბრში 40 ქვეყანა მონაწილეობს და მათ შორის ქართველებიც არიან.

სპეციალისტთა ვარაუდით, წლევანდელი გათამაშება ადრინდელზე კარგი იქნება. ფიდეს რეიტინგის ათეულიდან შვიდი კრეტაშია და ყველანი უშელავათო ბრძოლებს გვპირდებიან. ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით წარიმართება და ცხრა ტურად ჩათამაშდება.

კაცთა შორის ფავორიტებად რუსები, სომხები, უკრაინელები და ბულგარელები ითვლებიან. ჩვენი გუნდი რეიტინგით ვერ ლიდერობს, თუმც იქ მარტო საბერძნეთის დასათვალიერებლად რომ არ ჩასულა, ფაქტია. საქართველოს ღირსებას დაიცავენ: ბაადურ ჯობავა, თამაზ გელაშვილი, ლევან ფანცულაია, მერაბ გაგუნაშვილი და დავით არუთინიანი.

ქალთა შორის ფავორიტი კი საქართველოს ნაკრებია. აი, შემადგენლობაც: მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, ნანა ძაგნიძე და მაია ლომინეიშვილი. შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ გასრულებულ ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე ნანა ძაგნიძემ მესამე დაფაზე ოქროს მედალი მოიგო და ახლაც საუცხოო ფორმაშია.

**ლუშა გეგეჭკორი**



# ჩინელები ამტკიცებენ: ჯომოლუნგმაზე ცეცხლი იქნება

**როგორც** „სარბიელის“ მკითხველმაც იცის, ჩინელ მთამსვლელებს პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდნის ატანა დედამიწის კენწეროზე განუზრახავთ, რისთვისაც გულმოდგინედ ემზადებიან და საამისოდ ყველა ტექნიკური საკითხიც მოგვარებულია.

„ჯომოლუნგმაზე ოლიმპიური ჩირაღდნის ასატანად სამზადისი მთელი სისრულით მიმდინარეობს — ამბობს ფიზკულტურის საკითხებში ჩინეთის მთავარი სახელმწიფო სამმართველოს უფროსი ლიუ პენი — საზეიმო დაპირება, რომელიც პეკინის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ჩინეთის დედაქალაქის განაცხადს მოჰყვა, უთუოდ განხორციელდება.

უკვე 40 წელიწადი გავიდა მას მერე, რაც ჩინელმა მთამსვლელებმა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი დალაშქრეს. ამას წინათ ტიბეტის ავტონომიური რაიონის მთამსვლელებმა ჩვენი პლანეტის თოთხმეტივე რვაათასიანი მწვერვალის დალაშქვრის პროექტიც დაასრულეს. ამიტომაც, გაისად ჩინელ მთამსვლელთა ჯომოლუნგმაზე ასვლა უპრობლემოდ განხორციელდება. რაც შეეხება ყინვას, ძლიერ ქარს, ჟანგბადის ნაკლებობას, დაბალ წნევას და სხვა ექსტრემალურ პირობებს, რომლებიც ჩირაღდანმა უნდა გაიაროს, ზედმიწევნით შევისწავლეთ, რისთვისაც შესაბამისი გამოკვლევა ჩატარდა და საიმედო შედეგიც მივიღეთ. ამასთან, გადაწყვეტილია ყველა ის ტექნიკური საკითხი, რომელიც მკაცრ პირობებში ჯომოლუნგმაზე ჩირაღდნის ატანის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ეხება.

ერთი სიტყვით, რაიმე სერიოზული პრობლემების აღმოცენებისთვის შიშის საფუძველი არ გვაქვს და მიზანს უთუოდ მივაღწევთ“.

**ავთანდილ ტყვიტელი**

# გზები მაინც საძებარია



ზურაბ ფალავანდიშვილის ფოტო

ორლან ჯაფაროვი და „გროგი“

**„კავკასიის თასი“**, მართალია, არა გუნდური, არამედ პირადი, კვლავ (მეორედ) აზერბაიჯანელმა სპორტსმენმა მოიპოვა. გუშინ გათამაშდა ამ საერთაშორისო ტურნირის დასკვნითი ასპარეზობა. როგორც პირველ დღეს, ძირითადი ცხენებით, ამჯერადაც აშკარა იყო სტუმრების უპირატესობა. ამ კონკურში სულ 8 მხედარი გამოვიდა — 3 აზერბაიჯანელი და 5 ქართველი. აზერბაიჯანის გუნდს მარქაფაში 2 ცხენიც ჰყავდა. წინა ორ კონკურში საიდ მუსაევი და რამაზ რზაევი ორ-ორი ცხენით გამოდიოდნენ, მაგრამ მონაწილეთა მცირერიცხოვანობის გამო მათ თითო ცხენით გამოსვლა არჩიეს. ერთადერთს, რზაევს არ გაუმართლა: იგი ორივე ჰიტში ცხენის ორ-ორი გაურჩებისათვის მოიხსნა. ამავე ტურნირზე შარშანდელმა გამარჯვებულმა საიდ მუსაევმა („გრომი“) I ჰიტში, მართალია, 12 საჯარიმო ქულა მიიღო (3 დაბრკოლების დაზიანებისათვის), მაგრამ მეორეში მისმა ახოვანმა ბედაურმა მხოლოდ ერთი დაბრკოლება დაანგრია. თითქოს ასეთი შედეგი ჩვენი მხედრებისთვისაც მიუღწეველი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ ფოთელმა გოგიტა კოდუამ შეძლო საპრიზო სამეულში მოხვედრა (-16); იგი სისწრაფით ჩამორჩა მუსაევს. გ. კოდუა ფოთის საცხენოსნო კლუბის აღზრდილია. იგი იმავე „გალერათი“ 2001 წელს გამოდიოდა საქართველოს ნაკრებში „კავკასიის თასის“ ასპარეზობაზე და ჩვენი გუნდის პირველ გამარჯვებაშიც თავისი წვლილი შეიტანა. მას შემდეგ „გალერა“ ორჯერ წარმატებით გამოვიდა ნაკრებში (ამჯერად, როგორც თბილისის „ჟოკეიკლუბის“ ცხენი — ირაკლი ბულისკერიას მხედრობით). შემდეგ კვლავ ფოთს დაუბრუნდა და ამ შემოდგომაზეც მისმა ძველმა მხედარმა ერთგვარი ცხენოსნური საჩუქარი შესთავაზა მცირერიცხოვან, მაგრამ ერთგულ მაყურებელს.

თუმცა ნამდვილ სიურპრიზს (ამჯერად უკვე აზერბაიჯანელი გულშემატკივრებისათვის) 18 წლის ორლან ჯაფაროვი ამზადებდა: იგი წინა ორ კონკურში მოიხსნა (ცხენის გაურჩებისათვის), ამჯერად კი ორივე ჰიტი უჯარიმოდ გაიარა („გროგი“).

სანუგეშოდ ახალგაზრდა ცხენებით გამოსული საქართველოს მხედრების მიღწევა გვრჩება: აქ უჯარიმოდ გამოვიდა შსს ცხენოსანი ესკადრონის მხედარი გიორგი სამხარაძე („ელპერი“). ყულარის ცხენსაშენის 4 წლის ულაყი კარგახანს უცხენოდ მყოფმა სამხარაძემ ჩინებულად მოამზადა ამ ასპარეზობისათვის.

ძალზე საინტერესო გამოდგა ტურნირის მეორე დღის ასპარეზობა „6 ბარიერი“. ახალგაზრდა ცხენებით აქ ბოლო ჰიტზე მეექვსე დაბრკოლების სიმაღლემ 140 სმ-ს მიაღწია. აქაც პირველი იყო სამხარაძე, რომელმაც ყველა ცდაზე უჯარიმოდ გაიარა. II — კახაბერ კიკიანი, III — ვანო ნორაკიძე. ძირითადი ცხენებით აქ IV ჰიტზე 160 სიმაღლე დაძლიეს რამაზ რზაევმა („გრადი“) და საიდ მუსაევმა („როდრიგო“).

როგორც ვხედავთ, აზერბაიჯანელთა უპირატესობა კლასიკური ცხენოსნობის ერთ-ერთ ძირითად დარგში — დაბრკოლებათა გადალახვაში აშკარაა. თუ გავითვალისწინებთ, იმ მზრუნველობას, რასაც დღეს აზერბაიჯანში იჩენენ საცხენოსნო სპორტის მიმართ, ეს არცაა გასაკვირი და რაც მთავარია, არც სასოწარკვეთის საფუძველია. დამარცხებას თვალი უნდა გავუსწოროთ და გამარჯვებულებს წარმატება მივულოცოთ. მაგრამ ჩვენივე თავს ცოტა კრიტიკულად შევხედოთ. ვთქვათ, ეს ტურნირი (ბოლო ასპარეზობის მაგალითზე ვილაპარაკოთ) საერთაშორისო არ ყოფილიყო, კმაყოფილი დავრჩებოდით 125 სმ სიმაღლეზე ნაჩვენები შედეგით? განა ამ კლასის კონკურსის დაძლევას აუცილებლად თანამედროვეობის უმაღლესი დონის საკონკურო ცხენები სჭირდება? ნუ გავაუფასურებთ ყულარის ცხენსაშენის შესაძლებლობებს. აზერბაიჯანელთა ერთი საუკეთესო ბედაური — „გრადი“ (მასზე შარშან თვითონ აზერბაიჯანელთა ბულგარელი მწვრთნელი იყო ამხედრებული და ფაქტობრივად მან დამატებით ხტომებში შეგნებულად დაუთმო გამარჯვება თავის ჭაბუკ თანაგუნდელს), დიახ, ეს „გრადი“ ხომ ანგლოარაბია და ასეთი ნაჯვარი ბედაურის გამოზრდა ყულარის ცხენსაშენის შესაძლებლობებს აღემატება? რა სჯობია, თუ გამოჩნდება აზერბაიჯანელი მეცენატის მსგავსი ცხენენჯი კაცი და მაღალი დონის ცხენებსაც შემოიყვანს, მწვრთნელებსაც– და ასე შემდეგ. ცხენოსნობის მოყვარულები, მადლობა ღმერთს, ჩვენცა გვყვანან, ეს „კავკასიური თასის“ ამ ტურნირზეც კარგად გამოჩნდა და დიდი მადლობა მათ, რომელთაც თავისი გულუხვობით გაალამაზეს ასპარეზობა და ჩვენს ახალგაზრდა ნიჭიერ მხედრებსაც გული გაუკეთეს. მაგრამ ასე უცებ „გუიენაის“ შესაძლებლობის კლუბის დაარსება, ალბათ, მოსალოდნელი არაა, და რა ვქნათ, ვიწუწუნოთ, ხელი ბაქოსაკენ გავიშვიროთ?

ვიცი, რომ თითქოს გამოჩნდა საქართველოში ცხენოსნობის არათუ გადარჩენის, არამედ დიდი აღმავლობის გზაც. ერთობ საეჭვო გზაა! და, რაც მთავარია, უდიდესი რისკის შემცველი. კონკურში დროებითი ლოკალური წარმატების სანაცვლოდ საქართველოს დედაქალაქი კარგავს თავის ერთ-ერთ უდიდეს ღირსშესანიშნაობას, მთელ საქართველოში ცხენთგამოცდის, საცხენოსნო სპორტის განვითარების, ამავე დროს მთელი ქალაქის უმნიშვნელოვანეს სარეკრეაციო ზონას, დამწყები სპორტსმენების აღზრდის კერას. ამ საქმის გარკვევას არ სჭირდება დემონსტრაციები და აქციები. უბრალოდ მცოდნე, პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტების საფუძვლიანი განსჯაა აუცილებელი და ყველაფრისათვის თავისი სახელის დარქმევა. ამ სპორტულ ინფორმაციაში მეტს აღარ ვილაპარაკებ, ვცეთ პატივი ასპარეზობას, გამარჯვებულ და დამარცხებულ სპორტსმენებსაც.

**ნოდარ ეგრალიძე**



ზურაბ ფალავანდიშვილის ფოტო

გოგიტა კოდუა და „გალერა“





AFP ობიექტივიდან

ფავორიტების იაპონურ ტალახში ჩაფლობით მიკო ჰირვონენმა იხეირა

# ომი ბოლომდე

**მსოფლიოს** სამგზის ჩემპიონმა სებასტიენ ლოებმა ხელიდან გაუშვა გენერალურ კლასიფიკაციაში დაწინაურებისა და მორიგი საგვირგვინო შანსის დაბრუნების ჩინებული შანსი.

იაპონიის კუნძულ ჰოკაიდოს ქალაქ ობიჰიროს ნისლიან-ტალახიან, ვიწრო და სრიალა მოხრეშილ გზებზე თავიდან 39 წლის ზევეტერანი მარკუს გრონჰოლმი კი გალიდერდა, მაგრამ უკვე მეოთხე ჩქაროსნულ უბანზე შეცდა, „ფორდი“ უწყინარ მოსახვევში გზიდან გადაუვარდა და მართალია, უზარმაზარი, თითქმის წუთიანი დაგვიანებით როგორღაც მიგორდა სერვის-პარკამდე, მაგრამ მანქანის უსაფრთხოების კარკასის საშიში დაზიანების გამო სტიუარდებმა რბოლის გაგრძელების ნება არ დართეს.

მარკუსის ამ პრობლემით სებს ლამის უკვე სატიტულოდ ხელ-საჭე გაეხსნა და მალე მეხუთე პოზიციიდან მეორეზეც აინაცვლა, მაგრამ ბოლომდე არც მას დასცალდა — შუა დისტანციაზე, მართლაცდა დანავსულ მე-13 ჩასათვლელ მონაკვეთზე ავარია შეემთხვა და „სიტროენი“ ნაწვიმარ გზაზე ხეებში შეუვარდა. საწყენია, რომ ინციდენტის გამო ლოებსა და მის ათწლიან შტურმან დანიელ ელენას შორის ურთიერთობა გამწვავდა. ელენამ სებს უსაყვედურა, ამ მოსახვევის შესახებ ხომ დროულად გაცნობეო, იმან კი კოდრაივერს ლეგენდის არასწორად წაკითხვაში დასდო ბრალი.

ერთი სიტყვით, ამ აზიური ეტაპის შემდეგ სატურნირო ვითარება არ შეცვლილა და „კლასიკური“ რალის წლევანდელი გვირგვინოსნის ვინაობაც ალბათ მხოლოდ დასკვნით, უელსის გრან პრიზე გაირკვევა. მანამდე კი, 16-18 ნოემბერს, ირლანდიის რალი გველის.

**გია ახალაძე**

WRC WORLD RALLY CHAMPIONSHIP
**მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში**
**XIV ეტაპი. იაპონია. 350,2 კმ**

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | 3სთ;23.57,6 |
| 2 | დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) | ჩამორჩა 37,4 |
| 3 | ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, ფორდი) | 4.33,7 |
| 4 | მეტიუ უილსონი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) | 6.37,9 |
| 5 | ლუის პერეს კომპანსი (არგენტინა, ფორდი) | 6.40,4 |
| 6 | მანფრედ შტოლი (ავსტრია, სიტროენი) | 7.04,3 |
| 7 | ფედერიკო ვილაგრა (არგენტინა, ფორდი) | 11.15,3 |
| 8 | კაცუჰიკო ტაგუჩი (იაპონია, მიცუბიში) | 20.40,1 |

**საერთო ჩათვლა**

1 გრონჰოლმი — რაუტიაინენი (ფინეთი, ფორდი) 104 ქულა; 2. ლოები — ელენა (საფრანგეთი, სიტროენი) 100; 3 ჰირვონენი — ლეჰტინენი 84; 4 სორდო — მარტი 53; 5 პეტერ სოლბერგი — მილსი (ნორვეგია, სუბარუ) 38; 6 ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი 34; 7 ატკინსონი — მაკნილი (ავსტრალია, სუბარუ) 29; 8 ლატვალა — ანტილა (ფინეთი, ფორდი) 24; 9 დიუვალი — პივატო (ბელგია, სიტროენი) 12; 10 შტოლი — მინორი 12

**კონსტრუქტორთა თასი**

ფორდი 189 ქულა; სიტროენი 155; სუბარუ 73; სტობარდ-ფორდი 71; კრონოს-სიტროენი 43; მუნჩი-ფორდი 14

## ჩოგბურთი

**კაცები**
ბაზელი. შვეიცარია
ხალიჩა. დარბაზი
საპრიზო 1 000 000 $

### მეოთხედფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:3 6:2; იარკო ნიემინენი (ფინეთი) — ფერნანდო გონსალესი (2, ჩილე) 6:3 7:5; ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — ტომაშ ბერდიხი (5, ჩეხეთი) 6:7 7:6 7:6; მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) — პოლ-ანრი მატიო (8, საფრანგეთი) 6:2 7:6

### ნახევარფინალი

ფედერერი — კარლოვიჩი 7:6 7:6; ნიემინენი — ბაღდატისი 7:6 6:2

### ფინალი

ფედერერი — ნიემინენი 6:3 6:4

**კაცები**
ლიონი. საფრანგეთი
ხალიჩა. დარბაზი
საპრიზო 800 000 $

### მეოთხედფინალი

ალეხანდრო ფალა (კოლუმბია) — ივან ლიუბიჩიჩი (5, ხორვატია) 7:5 6:7 7:5; ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:3 6:2; მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) — დიეგო ჰარტფილდი (არგენტინა) 7:5 6:3; სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) — ჟულიენ ბენეტუ (საფრანგეთი) 6:7 6:2 7:6

### ნახევარფინალი

გროჟანი — ცონგა 6:1 6:2; ჟიკელი — ფალა 4:6 6:2 7:6

### ფინალი

გროჟანი — ჟიკელი 7:6 6:4


დანიელა ჰანტუხოვა

**კაცები**
სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი
ხალიჩა. დარბაზი
საპრიზო 1 000 000 $

### მეოთხედფინალი

ენდი მიურეი (2, ბრიტანეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 3:6 7:6 6:4; მიხაილ იუჟნი (3, რუსეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:4 (უარი); ფერნანდო ვერდასკო (6, ესპანეთი) — პოტიტო სტარაჩე (4, იტალია) 6:3 6:4; მარიან ჩილიჩი (ხორვატია) — ერნესტ გულბისი (ლატვია) 6:4 6:4

### ნახევარფინალი

მიურეი — იუჟნი 6:2 5:7 7:6; ვერდასკო — ჩილიჩი 6:2 6:3

### ფინალი

მიურეი — ვერდასკო 6:2 6:3

**ქალები**
ლინცი. ავსტრია
ჰარდი. დარბაზი
საპრიზო 600 000 $

### მეოთხედფინალი

პატი შნიდერი (6, შვეიცარია) — ანა ჩაკვეტაძე (1, რუსეთი) 6:1 6:0; დანიელა ჰანტუხოვა (2, სლოვაკეთი) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 6:4 1:6 6:3; მარიონ ბარტოლი (3, საფრანგეთი) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 6:1 1:6 6:4; ნიკოლ ვაიდიშოვა (5, ჩეხეთი) — დინარა საფინა (4, რუსეთი) 6:3 7:6

### ნახევარფინალი

ჰანტუხოვა — ვაიდიშოვა 2:6 6:2 7:6; შნიდერი — ბარტოლი 7:6 6:3

### ფინალი

ჰანტუხოვა — ბარტოლი 6:4 6:2

## ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**26 ოქტომბერი**

**კაროლინა 4:7 მონრეალი**
*1:5 1:1 2:1*
0:1 ჩიპჩურა (4), 2:0 პლეკანეცი (9), 1:2 ჰემილტონი (12), 1:3 კოვალიოვი (13), 1:4 კოივუ (19), 1:5 შტრაიტი (19), 2:5 სტაალი (35), 2:6 პლეკანეცი (37), 3:6 უიტნი (45), 4:6 ბრინდამორი (59), 4:7 დანდენო (60)

**ვაშინგტონი 2:3 ვანკუვერი**
*1:2 0:0 1:1*
0:1 დ. სედინი (3), 1:1 ნიულანდერი (9), 1:2 პაიეტი (12), 1:3 პაიეტი (44), 2:3 ოვეჩკინი (59)

**დეტროიტი 5:1 სან ხოსე**
*2:0 0:0 3:1*
1:0 ფილპულა (2), 2:0 ლილია (16), 3:0 ზეტერბერგი (41), 4:0 ზეტებერგი (49), 5:0 მოლტბი (49), 5:1 სემიონოვი (55)

**ფლორიდა 2:4 ბუფალო**
*2:1 0:0 0:3*
1:0 შტუმპელი (2), 1:1 კოტალიკი (8), 2:1 პელტონენი (20), 2:2 ხეხტი (49), 2:3 სტეფორდი (52), 2:4 პაიე (57)

**კალგარი 2:3 კოლორადო**
*1:1 1:0 0:1 0:1 (ოვერტაიმში)*
0:1 საკიკი (8), 1:1 ტანგეი (16), 2:1 ლომბარდი (22), 2:2 სვატოში (56), 2:3 სმიტი (61)

**ნიუ ჯერსი 1:4 ოტავა**
*0:0 1:1 0:3*
0:1 მქართში (26), 1:1 ჯლიონტა (34), 1:2 [illegible] (37), 1:3 ფიშერი (44), 1:4 ალფრედსონი (50)

**პიტსბურგი 3:4 მონრეალი**
*0:2 2:1 1:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 დენდენო (8), 0:2 მარკოვი (11), 0:3 რაიდერი (21), 1:3 სიკორა (24), 2:3 კროსბი (29), 3:3 უიტნი (59)

**რეინჯერსი 1:4 ტორონტო**
*0:0 1:3 0:1*
1:0 იაგრი (26), 1:1 კუბინა (29), 1:2 პოლი (36), 1:3 ანტროპოვი (38), 1:4 კოლგერი (60)

**ტამპა 3:4 ბუფალო**
*0:0 2:2 1:0 0:1 (ოვერტაიმში)*
1:0 პროსპალი (24), 2:0 ულიე (25), 2:1 აფინოგენოვი (30), 2:2 გოსტადი (35), 3:2 ლეკავალიე (47), 3:3 პეში (54), 3:4 ვანეკი (65)

**ნეშვილი 4:3 ფლორიდა**
*0:1 2:1 2:1*
0:1 შტუმპელი (11), 1:1 ფიდლერი (24), 2:1 ბონეკი (31), 2:2 იოკინენი (40), 3:2 ფიდლერი (44), 3:3 იოკინენი (51), 4:3 სმიტსონი (60)

**სენტ ლუისი 4:3 ვაშინგტონი**
*2:1 1:1 1:1*
1:0 ბოისი (1), 2:0 ბრიუერი (9), 2:1 გრინი (10), 2:2 გრინი (24), 3:2 ბოისი (39), 4:2 ბეკსი (42), 4:3 ნიულანდერი (59)

**ჩიკაგო 2:3 ატლანტა**
*0:1 1:0 1:2*
0:1 კოზლოვი (11), 1:1 კეინი (26), 1:2 კოვალჩუკი (44), 1:3 კოზლოვი (48), 2:3 უილიამსი (59)

**ლოს ანჯელესი 4:1 ედმონტონი**
*1:1 2:0 1:0*
0:1 სტოლი (17), 1:1 ოსალივანი (19), 2:1 ნადი (33), 3:1 კოპიტარი (36), 4:1 ოსალივანი (57)

**ფინიქსი 3:5 დალასი**
*1:2 1:2 1:1*
0:1 ზუბოვი (4), 1:1 დოუნი (13), 1:2 ლეჰტინენი (18), 1:3 მოდანო (29), 2:3 ერბატა (37), 2:4 ჰაგმანი (39), 2:5 რიბეირო (48), 3:5 კარჩილო (54)

**27 ოქტომბერი**

**ბოსტონი 1:2 ფილადელფია**
*0:0 1:2 0:0*
1:0 შტურმი (28), 1:1 რიჩარდსი (30), 1:2 ლუპული (33)

**კოლუმბუსი 2:1 სან ხოსე**
*1:1 1:0 0:0*
0:1 ტორნტონი (8), 1:1 ფრიჩი (9), 2:1 ფიოდოროვი (39)

**აილენდერსი 3:8 კაროლინა**
*0:3 2:3 1:2*
0:1 ბრინდამორი (3), 0:2 უიტნი (10), 0:3 ბრინდამორი (15), 0:4 უიტნი (22), 1:4 ფედოტენკო (23), 1:5 უილიამსი (25), 1:6 სტაალი (28), 2:6 ბერგერონი (31), 2:7 ბრინდამორი (44), 2:8 უილიამსი (44), 3:8 სილინჯერი (60)

სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. ჩემპიონატი, 29 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 14 | კრისტალ პალასი-უოტფორდი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | იტალია. სერია C1/B, 29 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 25 | პისტოიეზე-სორენტო | 2.10 | 2.60 | 3.70 | 1.16 | 1.33 | 1.52 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი, 29 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 310 | ნიორი-ნანტი | 4.00 | 2.90 | 1.85 | 1.68 | 1.26 | 1.12 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა, 29 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 362 | ნავალი-ბრაგა | 3.50 | 3.10 | 1.90 | 1.64 | 1.23 | 1.17 |
| 20:00 | 363 | პორტუ-ლეიშოეში | 1.15 | 5.90 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.84 |
| | | ჩეხეთი, 29 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 421 | ლიბერეცი-სლავია | 3.10 | 3.00 | 2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |
| | | დანია. სუპერლიგა, 29 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 448 | ოლბორგი-ესბიერგი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | მექსიკა, 29 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 485 | ამერიკა-ჩივასი | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| | | გერმანია. თასი, 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 554 | ვერდერი(მ)-ზტ.პაული | 3.70 | 3.20 | 1.90 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| 22:30 | 555 | ვუპერტალი-ჰერტა | 4.40 | 3.20 | 1.65 | 1.85 | 1.20 | 1.08 |
| 22:30 | 556 | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 1.35 | 3.80 | 6.70 | 1.00 | 1.12 | 2.42 |
| 22:30 | 557 | შტუტგარტი-პადერბორნი | 1.25 | 5.00 | 8.90 | 1.00 | 1.09 | 3.20 |
| 22:30 | 558 | ჰოფენჰაიმი-ფიურტი | 2.15 | 3.10 | 2.90 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 22:30 | 559 | მიუნხენი1860-მაინცი | 2.15 | 3.00 | 2.90 | 1.25 | 1.23 | 1.47 |
| 22:30 | 560 | ალემანია-ბოხუმი | 2.35 | 3.00 | 2.65 | 1.31 | 1.24 | 1.40 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 561 | ესენი-კაიზერსლაუტერნი | 2.90 | 3.10 | 2.10 | 1.49 | 1.21 | 1.25 |
| 22:30 | 562 | კარლსრუე-ვოლფსბურგი | 2.25 | 3.00 | 2.75 | 1.28 | 1.23 | 1.43 |
| 22:30 | 563 | კარლ ცაისი-ნიურნბერგი | 3.20 | 3.10 | 2.00 | 1.57 | 1.23 | 1.21 |
| 22:30 | 564 | კობლენცი-არმინია | 2.65 | 3.10 | 2.30 | 1.42 | 1.23 | 1.32 |
| 22:30 | 565 | დორტმუნდი-აინტრახტი | 1.80 | 2.90 | 3.90 | 1.11 | 1.23 | 1.66 |
| 22:30 | 566 | შალკე-ჰანოვერი | 1.55 | 3.40 | 5.35 | 1.06 | 1.20 | 2.07 |
| 22:30 | 567 | ჰანზა-ოფენბახი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 22:30 | 568 | ვერდერი-დუისბურგი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 22:30 | 569 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1.20 | 5.30 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.57 |
| | | საფრანგეთი. თასი, 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 585 | ნანსი-ამიენი | 1.20 | 3.90 | 6.70 | 1.00 | 1.01 | 2.46 |
| 22:00 | 586 | ოსერი-ნიცა | 2.00 | 2.90 | 3.45 | 1.18 | 1.26 | 1.57 |
| | | ჰოკეი. შვედეთი, 29 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 702 | ჰვ 71-ლინჩიოპინგი | 1.55 | 4.20 | 3.50 | 1.13 | 1.07 | 1.90 |
| 21:00 | 703 | ბიკ-ლულეო | 1.75 | 4.20 | 2.80 | 1.23 | 1.07 | 1.67 |
| 21:00 | 704 | მორა-ტიმრე | 2.20 | 4.00 | 2.05 | 1.41 | 1.06 | 1.35 |
| | | ჰოკეი. ფინეთი, 29 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 720 | ესპოო-კერპეტი | 2.20 | 4.10 | 2.15 | 1.43 | 1.08 | 1.41 |
| | | ჰოკეი. რუსეთი, 29 ოქტომბერი | | | | | | |
| 15:00 | 808 | სპარტაკი-ლოკომოტივი | 3.00 | 4.40 | 1.55 | 1.78 | 1.02 | 1.14 |
| | | ჰოკეი.NHL, 29 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 650 | ვანკუვერი-დეტროიტი | 2.40 | 4.00 | 2.00 | 1.50 | 1.09 | 1.33 |
| 23:45 | 651 | ანაჰაიმი-ედმონტონი | 1.60 | 4.00 | 3.25 | 1.14 | 1.07 | 1.79 |
| 23:45 | 652 | რეინჯერსი-ტამპა ბეი | 1.85 | 4.00 | 2.50 | 1.26 | 1.06 | 1.53 |
| 23:45 | 653 | ტორონტო-ვაშინგტონი | 2.00 | 4.00 | 2.50 | 1.33 | 1.11 | 1.53 |
| 23:45 | 654 | დალასი-სან ხოსე | 2.10 | 4.00 | 2.30 | 1.37 | 1.09 | 1.46 |

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე



# ახლა იწყება...

**ვერ** გეტყვით, ეს თემის დაგვირგვინებაა თუ დაწყება, მაგრამ ფაქტია: ხუანდე რამოსმა ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მწვრთნელი გახდა. 53 წლის რამოსმა თანამდებობაზე ჰოლანდიელი მარტინ იოლი შეცვალა.

„ლონდონელებს ისეთი გუნდი ჰყავთ, მის გაძღოლას ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა — თქვა რამოსმა ინგლისში ჩაბრძანების შემდეგ — „ტოტენჰემს“ უდიდესი წარმატების მიღწევა შეუძლია“.

როგორც ინგლისური გაზეთები წერენ, რამოსი წელიწადში 6 მილიონ გირვანქას მიიღებს. „სარბიელის“ მკითხველისთვის უკვე ცნობილია, რომ ესპანელი სპეციალისტი „ბლექბერნთან“ „მამლების“ გუშინდელ თამაშს დამკვირვებლის რანგში დაესწრო, ოთხშაბათს კი, „კარლინგის“ თასზე, „ბლექპულს“ უკვე სახელოდაკაპიწებული ესტუმრება.

შეგახსენებთ, რომ ხუანდე რამოსი ტიტულოვანი მწვრთნელია: მან ანდალუზიურ „სევილიას“ უეფას თასი მოაგებინა, ხოლო გასულ სეზონში „რეალისა“ და „ბარსელონას“ შემდეგ მესამე ადგილზე გასვლით ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებაც მოინადირა. იგი აგრეთვე გახლავთ ესპანეთის თასის, ქვეყნის სუპერთასისა და ევროპის სუპერთასის მფლობელი.

„სევილიიდან ლონდონში გადასვლა ჩემი ცხოვრების უმძიმესი გადაწყვეტილება გახლდათ — განაგრძო რამოსმა — „სევილიაში“ გატარებული წლები ჩემთვის, როგორც ადამიანისა და მწვრთნელისთვის, უმნიშვნელოვანესი გახლდათ, თუმცა „ტოტენჰემის“ მწვრთნელობაც დიდი პატივია ჩემთვის. ლონდონელებს უდიდესი ისტორიისა და ტრადიციების გუნდი ჰყავთ“.

ხუანდე რამოსთან ერთად „ტოტენჰემში“ გადადის მისი სევილიელი თანაშემწე 36 წლის მარკოს ალვარესი. მოგეხსენებათ, „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელებმა „ლიდს იუნაიტედს“ კიდევ ერთი მწვრთნელის, გუსტავო პოიეტის გადაბირება სთხოვეს.

**ბაჩუნა ძიდია**

# სერიოზული გაგრძელება

**ოტო პფისტერი** აფრიკულ თავგადასავალს აგრძელებს. გერმანელმა სპეციალისტმა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ტოგოს ეროვნულ გუნდს უთავკაცა, ამიერიდან კი უფრო სერიოზულ გუნდს, კამერუნს გაწვრთნის. იგი კამერუნის სპორტისა და ფიზიკური აღზრდის დეპარტამენტმა „ლომების“ მწვრთნელად ადგილობრივი სპეციალისტის ჟულიუს ნიონგას ნაცვლად დანიშნა. მწვრთნელობას აფრიკელები ჰოლანდიელ არი ჰაანსაც სთავაზობდნენ, თუმცა...

69 წლის ოტო პფისტერის მიზანი აფრიკის თასის მოგება იქნება.

**ლადო ხომერიკი**

# 60 მილიონი და იანვარი

**იტალიური** „გაძეტა დელო სპორტი“ კვლავ „მილანისა“ და რონალდინიოს ყბადაღებულ თემას დაუბრუნდა. იტალიაში ამტკიცებენ, რომ „როსონერიმ“ „ჩელსის“ სატრანსფერო ომი მოუგო და ბარსელონელებიც „კიჭას“ თაობაზე სილვიო ბერლუსკონისთან აწარმოებენ მოლაპარაკებას.



შეიძლება რონის „მილანში“ გადასვლა დააჩქაროს.

ბრაზილიელის „სან სიროზე“ გადაბარგების ფასი 60 მილიონი ევრო იქნება. „გაძეტა დელო სპორტის“ ვერსიით, კლუბებს შორის შეთანხმება იანვარში უნდა შედგეს.

რონალდინიო „ბარსას“ ბოლოდროინდელ მატჩებში სულ უფრო იშვიათად ჩნდება მოედანზე. ამბობენ, რომ ოკეანისგაღმელსა და მის აგენტს და ძმას, რობერტო დე ასისს, კლუბის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაუფუჭდათ, რამაც და „ბარსას“ წარმომადგენლები რას ფიქრობენ ტრანსფერზე? „გაძეტა დელო სპორტში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის შემდეგ კატალონიურმა გრანდმა „მილანთან“ რონალდინიოს თაობაზე მოლაპარაკების არსებობა კიდევ ერთხელ უარყო, თუმცა არაოფიციალური ვერსიით, იანვრის გარიგებას ხელს ბევრი არაფერი შეუშლის.

**ლადო ხომერიკი**

## პოლონეთი

### I ლიგა. XII ტური

ბელხატუვი — ლოძი 1:0; ლეხი — კრაკოვია 3:1; ოდრა — იაგელონია 1:3; რუხი — პოლონია 2:0; ვიძევი — გროცლინი 1:0; ზაგლებე — სოსნოვიცი 2:1; კორონა — გურნიკი 3:2; ვისლა — ლეგია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 12 | 10 | 2 | 0 | 32:6 | 32 |
| კორონა | 12 | 9 | 1 | 2 | 19:11 | 28 |
| ლეგია | 12 | 8 | 0 | 4 | 20:6 | 24 |
| ლეხი | 12 | 7 | 2 | 3 | 25:15 | 23 |
| გროცლინი | 12 | 7 | 1 | 4 | 18:13 | 22 |
| გურნიკი | 12 | 6 | 1 | 5 | 17:18 | 19 |
| ზაგლებე | 12 | 5 | 3 | 4 | 14:13 | 18 |
| ბელხატუვი | 12 | 4 | 5 | 3 | 11:11 | 17 |
| იაგელონია | 12 | 4 | 3 | 5 | 11:19 | 15 |
| კრაკოვია | 12 | 4 | 1 | 7 | 9:13 | 13 |
| რუხი | 12 | 3 | 3 | 6 | 15:21 | 12 |
| ოდრა | 12 | 3 | 3 | 6 | 13:19 | 12 |
| ვიძევი | 12 | 2 | 5 | 5 | 11:15 | 11 |
| პოლონია | 12 | 3 | 2 | 7 | 7:21 | 11 |
| ლოძი | 12 | 1 | 4 | 7 | 6:11 | 7 |
| სოსნოვიცი | 12 | 2 | 0 | 10 | 12:28 | 6 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XIII ტური

გრასჰოპერი — აარაუ 1:1; ლუცერნი — სენტ გალენი 1:1; ქსამაქსი — სიონი 1:3; თუნი — ციურიხი 1:1; ბაზელი — იანგ ბოისი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 13 | 9 | 2 | 2 | 30:15 | 29 |
| ციურიხი | 13 | 7 | 5 | 1 | 32:12 | 26 |
| იანგ ბოისი | 13 | 6 | 4 | 3 | 31:25 | 22 |
| სიონი | 13 | 5 | 2 | 6 | 15:18 | 17 |
| ქსამაქსი | 13 | 3 | 6 | 4 | 17:20 | 15 |
| ლუცერნი | 13 | 2 | 8 | 3 | 20:28 | 14 |
| თუნი | 13 | 3 | 4 | 6 | 14:17 | 13 |
| გრასჰოპერი | 13 | 3 | 4 | 6 | 20:25 | 13 |
| აარაუ | 13 | 2 | 7 | 4 | 16:21 | 13 |
| სენტ გალენი | 13 | 3 | 2 | 8 | 13:27 | 11 |

### ჩელენჯლიგა. XIII ტური

გოსაუ — ვინტერთური 2:1; ბელინცონა — დელემონი 3:1; ვადუცი — კრიენსი 5:1; ივერდონი — კონკორდია 1:1; კიასო — ჩამი 0:2; შაფჰაუზენი — ლოკარნო 5:0; ვილი — შო დე ფონი 5:2; ლოზანა — ვოლენი 2:1; სერვეტი — ლუგანო 6:1

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XIV ტური

დუბნიცა — კოშიცე 0:1; ტრენჩინი — არტმედია 1:4; ჟილინა — სლოვანი 3:0; მორავცე — რუჟომბეროკი 0:0; სენეცი — ბანსკა ბისტრიცა 1:1. ტრნავა — ნიტრა დღეს გაიმართება

## სერბეთი

### სუპერლიგა. X ტური

ბეჟანიჯა — პარტიზანი 0:2; ჩუკარიჩკი — მლადოსტი 2:0; ჰაიდუკი — ბანატი 0:0; სარტიდი — ოფკ 0:1; ბორაცი — ვოივოდინა 2:4; ცრვენა ზვეზდა — ნაპრედაკი 1:1

## მექსიკა

### აპერტურა. XIV ტური

ტეკოსი — სან ლუისი 2:3; ხაგუარესი — ტოლუკა 0:0; მონტერეი — პაჩუკა 3:1; მორელია — ტიგრესი 1:0; ატლანტე — ნეკაქსა 0:2; ატლასი — სანტოსი 2:5; პუებლა — ვერაკრუსი 0:0; უნამი — კრუზ აზული 1:2. ამერიკა — გვადალახარა წუხელ გვიან დამთავრდა

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### აზია. საკვალიფიკაციო წრე

ჰონკონგი — ტიმორ-ლესტე 8:1; მიანმარი — ჩინეთი 0:4; ტაჯიკეთი — ბანგლადეში 5:0; ნეპალი — ომანი 0:2; ტაივანი — უზბეკეთი 0:2; ერაყი — პაკისტანი 0:0; მალდივი — იემენი 2:0; მალაიზია — ბაჰრეინი 0:0; თურქმენეთი — კამბოჯა 4:1; საამიროები — ვიეტნამი 5:0. ყატარი — შრი ლანკა 5:0; იორდანია — ყირგიზეთი 2:0. ჩრდ. კორეა — მონღოლეთი 0:0-ზე ჩაიშალა, ინდოეთი — ლიბანი, ინდონეზია — გუამი და სინგაპური — პალესტინა გადაიდო

## თურქეთი

### სუპერლიგა. X ტური

ქაისერი — ტრაბზონი 1:0; ანკარა — გენჩლერი 2:0; ბურსა — გაზიანთეფი 1:1; მანისა — ოფთა 0:2; კაშიმპასა — ფენერბაჰჩე 1:2; ანკარაგიუჯიუ — რიზე 1:0; ქონია — სივა 2:1; ბეშიქთაში — ბუიუქშეჰირი 0:0; დენიზლი — გალათასარაი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 10 | 7 | 3 | 0 | 20:5 | 24 |
| სივა | 10 | 7 | 1 | 2 | 16:8 | 22 |
| ბეშიქთაში | 10 | 6 | 3 | 1 | 12:7 | 21 |
| ფენერბაჰჩე | 10 | 5 | 4 | 1 | 15:9 | 19 |
| ქაისერი | 10 | 4 | 4 | 2 | 15:11 | 16 |
| ბუიუქშეჰირი | 10 | 5 | 1 | 4 | 14:10 | 16 |
| ანკარაგიუჯიუ | 10 | 4 | 3 | 3 | 12:12 | 15 |
| ოფთა | 10 | 4 | 2 | 4 | 11:10 | 14 |
| ტრაბზონი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:9 | 13 |
| გაზიანთეფი | 10 | 4 | 1 | 5 | 13:14 | 13 |
| დენიზლი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:14 | 12 |
| ქონია | 10 | 2 | 4 | 4 | 11:20 | 10 |
| რიზე | 10 | 3 | 1 | 6 | 9:19 | 10 |
| გენჩლერი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:15 | 9 |
| მანისა | 10 | 2 | 3 | 5 | 12:18 | 9 |
| ბურსა | 10 | 1 | 5 | 4 | 9:12 | 8 |
| ანკარა | 10 | 1 | 4 | 5 | 7:12 | 7 |
| კაშიმპასა | 10 | 2 | 1 | 7 | 7:15 | 7 |

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XXVIII ტური

**ხიმკი 3:0 ლუჩ-ენერგია**

1:0 ტიხონოვი (21პ), 2:0, 3:0 მრდჟა (39, 69)

**მოსკვა 3:1 ამკარი**

1:0 მაქსი ლოპესი (29), 1:1 ჩერენჩიკოვი (40), 2:1, 3:1 მაქსი ლოპესი (44, 64)

**როსტოვი 0:0 დინამო**

**რუბინი 2:2 ყუბანი**

0:1 ლაიზანსი (37), 1:1 კაბზე (55), 1:2 ოკოდუვა (60), 2:2 დიადიუნი (76)

**სატურნი 0:0 სპარტაკი**

**ცსკა 4:2 კრილია**

1:0 ედუარდო (6), 2:0, 3:0 ჟო (29, 39პ), 3:1 მუჟირი (52), 4:1 ჟირკოვი (58), 4:2 ლაგიევკა (67)

**ლოკომოტივი 0:0 ტომი**

**ნალჩიკი 0:3 ზენიტი**

0:1 ლომბარტსი (56), 0:2 ა. დომინგესი (67), 0:3 ფატიჰ თეკე (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 28 | 16 | 7 | 5 | 51:33 | 55 |
| სპარტაკი | 28 | 15 | 8 | 5 | 45:29 | 53 |
| მოსკვა | 28 | 14 | 7 | 7 | 38:29 | 49 |
| ცსკა | 28 | 12 | 11 | 5 | 41:24 | 47 |
| სატურნი | 28 | 11 | 12 | 5 | 33:24 | 45 |
| დინამო | 28 | 11 | 8 | 9 | 36:32 | 41 |
| ლოკომოტივი | 28 | 11 | 8 | 9 | 36:36 | 41 |
| ამკარი | 28 | 9 | 11 | 8 | 27:24 | 38 |
| ხიმკი | 28 | 8 | 10 | 10 | 27:29 | 34 |
| ტომი | 28 | 7 | 11 | 10 | 34:33 | 32 |
| რუბინი | 28 | 9 | 5 | 14 | 30:38 | 32 |
| ნალჩიკი | 28 | 7 | 9 | 12 | 27:36 | 30 |
| კრილია | 28 | 7 | 8 | 13 | 31:41 | 29 |
| ლუჩ-ენერგია | 28 | 7 | 8 | 13 | 25:36 | 29 |
| ყუბანი | 28 | 6 | 11 | 11 | 25:37 | 29 |
| როსტოვი | 28 | 1 | 12 | 15 | 16:41 | 15 |

## რუმინეთი

### I ლიგა. XII ტური

არადი — პოლიტეხნიკა 0:0; ოცელული — უნივ. კრაიოვა 2:1; გლორია (ბისტრიცა) — გლორია (ბუზაუ) 3:2; უნივ. კლუჟი — სტიაუა 2:1; დინამო — ტიმიშოარა 1:1; ვასლუი — ფარული 1:1; უნირია — პანდური 1:0; დაჩია — ჩაპლაული 2:1; რაპიდი — კლუჟი 1:2

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XXXI ტური

გალვეი — დერი 1:0; უოტერფორდი — დროჰედა 1:1; შემროკი — სლიგო 0:0

### ასოციაციის თასი 1/2 ფინალი

ბოჰემიანსი — კორკი 0:2; დუბლინი — ლონგფორდი 0:1

## ხორვატია

### I დივიზიონი. XIII ტური

ციბალია — რიეკა 2:0; მედიმურიე — სლავენი 2:0; ზადარი — დინამო 1:2; ზაგრები — შიბენიკი 3:1; ინტერი — ჰაიდუკი 0:1; ოსიეკი — ვარტექსი 0:1

## შვედეთი

### ალსვენსკა. XXVI ტური

იურგორდენი — ბრომაპოიკარნა 0:1; ჰამარბი — გაის 4:0; ჰელსინგბორგი — ჰალმსტადი 0:0; გოტებორგი — ტრელებორგი 2:0; კალმარი — აიკ 2:0; მალმიო — ელფსბორგი 1:2; იორებრო — გეფლე 1:2

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გოტებორგი | 26 | 14 | 7 | 5 | 45:23 | 49 |
| კალმარი | 26 | 15 | 3 | 8 | 43:32 | 48 |
| იურგორდენი | 26 | 13 | 7 | 6 | 39:24 | 46 |
| ელფსბორგი | 26 | 10 | 10 | 6 | 39:30 | 40 |
| აიკ | 26 | 10 | 8 | 8 | 30:27 | 38 |
| ჰამარბი | 26 | 11 | 3 | 12 | 35:31 | 36 |
| ჰალმსტადი | 26 | 9 | 9 | 8 | 33:41 | 36 |
| ჰელსინგბორგი | 26 | 9 | 8 | 9 | 49:37 | 35 |
| მალმიო | 26 | 9 | 7 | 10 | 29:28 | 34 |
| გეფლე | 26 | 9 | 7 | 10 | 29:30 | 34 |
| გაის | 26 | 7 | 8 | 11 | 24:37 | 29 |
| იორებრო | 26 | 6 | 7 | 13 | 28:45 | 25 |
| ტრელებორგი | 26 | 5 | 8 | 13 | 22:38 | 23 |
| ბრომაპოიკარნა | 26 | 5 | 8 | 13 | 21:43 | 23 |

### სუპერეტა. XXX ტური

ატვიდაბერგი — ლანდსკრონა 4:1; დეგერფორსი — ნორჩიოპინგი 2:1; ენჩიოპინგი — იოსტერსი 0:1; იონჩოპინგი — სირიუსი 4:1; ლიუნგსკილე — სუნდსვალი 2:4; მიალბი — ფალკენბერგი 1:2; იორგრიტე — ბანვეფლო 2:4; სილვია — ჰეკენი 0:2

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. XI ტური

ზლინი — იაბლონეცი 0:1; ბოჰემიანსი — მოსტი 1:0; პლზენი — სიგმა 2:0; ბრნო — ბუდეიოვიცე 2:1; სპარტა — კლადნო 4:1; ტეპლიცე — ჟიჟკოვი 4:1; ბანიკი — ბოლესლავი 3:3. ლიბერეცი — სლავია დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 10 | 8 | 1 | 1 | 21:6 | 25 |
| ტეპლიცე | 11 | 7 | 2 | 2 | 17:8 | 23 |
| ბანიკი | 11 | 5 | 5 | 1 | 20:10 | 20 |
| სპარტა | 11 | 6 | 2 | 3 | 16:9 | 20 |
| ბოლესლავი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:12 | 16 |
| ბრნო | 11 | 4 | 4 | 3 | 15:16 | 16 |
| სიგმა | 11 | 4 | 4 | 3 | 7:8 | 16 |
| პლზენი | 11 | 4 | 3 | 4 | 10:11 | 15 |
| ზლინი | 11 | 3 | 4 | 4 | 8:15 | 13 |
| კლადნო | 11 | 3 | 3 | 5 | 17:20 | 12 |
| ბუდეიოვიცე | 11 | 3 | 3 | 5 | 12:15 | 12 |
| იაბლონეცი | 11 | 2 | 4 | 5 | 7:11 | 10 |
| ბოჰემიანსი | 11 | 2 | 4 | 5 | 6:12 | 10 |
| ლიბერეცი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:10 | 9 |
| ჟიჟკოვი | 11 | 2 | 3 | 6 | 15:24 | 9 |
| მოსტი | 11 | 1 | 5 | 5 | 16:22 | 8 |

## ბულგარეთი

### ვიშა ლიგა. X ტური

ჩერნომორეცი — მარეკი 1:0; ლევსკი — ბოტევი 6:2; ბელასიცა — სლავია 1:2; ცსკა — ჩერნო მორე 1:0; ლიტექსი — ბეროე 1:1; სპარტაკი — ლოკომოტივი (ს) 0:1; ვიდიმა-რაკოვსკი — პირინი 0:1; ვიჰრენი — ლოკომოტივი (პლ) 0:2

## იაპონია

### ჯეი ლიგა. XXX ტური

ჰიროშიმა — იჩიჰარა 2:2; კაშივა — კობე 1:3; ფკ იოკოჰამა — ომია 0:1; ნიიგატა — ივატა 1:1; კაშიმა — ოიტა 3:0; კოფუ — იოკოჰამა 1:1; შიმიცუ — გამბა 3:1; ტოკიო — კავასაკი 0:7; ურავა — ნაგოია 0:0

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. XIV ტური

ჩერნომორეცი — კარპატი 4:0; ზაკარპატია — ნაფტოვიკი 0:0; ვორსკლა — დინამო 0:1; არსენალი — კრივბასი 0:0; მეტალისტი — მეტალურგი (დ) 1:1; შახტარი — ხარკოვი 2:1; ტავრია — ზარია 2:0; დნიპრო — მეტალურგი (ზ) 1:0

## აფრიკის ჩემპიონთა ლიგა 2007

### ფინალი. I მატჩი

**ეტუალ საჰელი 0:0 ალ აჰლი**

# ინგლისი
## პრემიერლიგა XI ტური

### ტოტენჰემი 1:2 ბლექბერნი
1:0 კინი (49პ), 1:1 მაკკარტი (60), 1:2 სამბა (90)
ტოტენჰემი: ჩერნი, ჩიმბონდა, დოუსონი, კაბული, ლი, ჰადლსტოუნი, ლენონი, მალბარნჩე (დ. ბენტი 77), ზოკორა, ბერბატოვი (დეფო 89), კინი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ბლექბერნი: ფრიდელი, ოიერი, სამბა, უორნოკი, ბენტლი, დანი (დერბიშირი 83), ემერტონი, თუგაი (პედერსენი 60), სევიჯი (მოკოენა 46), მაკკარტი, სანტა კრუზი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: დანი, ჰადლსტოუნი, მაკკარტი, სანტა კრუზი, ზოკორა, ლი, დეფო
მსაჯი: სტაილზი
36 086 მაყურებელი

### ლივერპული 1:1 არსენალი
1:0 ჯერარდი (7), 1:1 ფაბრეგასი (80)
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიპია, რიისე, ჯერარდი, მასკერანო, ხაბი ალონსო (არბელოა 68), კუიტი, ფ. ტორესი (კრაუჩი 46), ვორონინი (ბენაიუნი 65)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
არსენალი: ალმუნია, სანია, ტურე, გალასი, კლიში (ჟილბერტო სილვა 74), ებუე (ბენდტნერი 74), ფაბრეგასი, ფლამინი, როსიცკი (უოლკოტი 66), გლები, ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ვორონინი, როსიცკი, მასკერანო, ტურე, ფაბრეგასი
მსაჯი: ვები
45 000 მაყურებელი

### მანჩესტერი 4:1 მიდლსბრო
1:0 ნანი (3), 1:1 ალიადიერი (6), 2:1 რუნი (33), 3:1, 4:1 ტევესი (55, 85)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ვ. ბრაუნი, რ. ფერდინანდი (პიკე 73), ვიდიჩი, ოში, რონალდუ, ჰარგრივსი (ფლეტჩერი 66), ანდერსონი (გიგზი 78), ნანი, რუნი, ტევესი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მიდლსბრო: შვარცერი, იანგი, ვუდგეიტი, უიტერი, ტეილორი, ონილი, კეტერმოლი (ბოატენგი 90), როჩემბაკი, დაუნინგი, ალიადიერი (ჰატჩინსონი 56), თუნჯაი (ლი 80)
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
გაფრთხილება: კეტერმოლი, როჩემბაკი
მსაჯი: ვაილი
75 720 მაყურებელი

### ჩელსი 6:0 სიტი
1:0 ესიენი (16), 2:0, 3:0 დროგბა (31, 56), 4:0 კოული (60), 5:0 კალუ (75), 6:0 შევჩენკო (90)
ჩელსი: ჩეხი, ბელეტი, რ. კარვალიუ, ალექსი, პ. ფერეირა, ჯ. კოული (შევჩენკო 67), ესიენი, ლამპარდი, მიკელი, დროგბა (კ. პიზარო 80), ს. კალუ
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
სიტი: ჰარტი, კორლუკა, დანი, რიჩარდსი, გარიდო, აირლენდი (ვასელი 63), ჰამანი (ბოლი 66), მ. ჯონსონი, მ. პეტროვი, ელანო (ბიანკი 73), სამარასი
მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი
გაფრთხილება: ესიენი, ლამპარდი, რიჩარდსი, ჯონსონი
მსაჯი: რაილი
41 832 მაყურებელი

### პორტსმუთი 0:0 ვესტ ჰემი
პორტსმუთი: ჯეიმსი, გ. ჯონსონი, ს. კემპბელი, დისტინი, პრედარსონი, უტაკა (კანუ 77), დიოპი, პ. მენდეში, მუნტარი, კრანჩარი, მვარუვარი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, გაბიდონი, აპსონი, მაკკარტნი, სოლანო (სპექტორი 78), ნობლი, მალინსი, ბოა მორტე, ბელამი (ეზერინგტონი 46), კ. კოული (ე. ფერდინანდი 90)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: პრედარსონი, დიოპი, ბელამი, ნობლი, სოლანო, კოული
მსაჯი: დინი
20 525 მაყურებელი

### რედინგი 2:1 ნიუკასლი
1:0 კიტსონი (53), 1:1 დაბერი (76ს.კ.), 2:1 ლონგი (84)
რედინგი: ჰანემანი, მარტი (როსენიორი 86), სონკო, დაბერი, შორი, ლიტა (ლონგი 83), გუნარსონი, ჰარპერი, ჰანტი, დოილი, კიტსონი
მწვრთნელი: სტივ კოპელი
ნიუკასლი: გივენი, ბეიე, ფაიე (მილნერი 74), კასაპა, ხოსე ენრიკე, ჯერემი, ბარტონი, ბათი (ნზოგბია 58), ემრე, ოუენი, მარტინსი (ა. სმიტი 58)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: ფაიე
მსაჯი: დოუდი
24 119 მაყურებელი

### დერბი 0:2 ევერტონი
0:1 არტეტა (26), 0:2 აიეგბენი (63)
დერბი: ბივატერი, კ. დევისია, მაკიველი, მირსი, მური, ფაგანი (ს. ჰოვარდი 62), ლუისი (ერნშოუ 57), ოკლი, პირსონი, ბერნესი, მილერი (ჯონსი 80)
მწვრთნელი: ბილი დევისი
ევერტონი: ტ. ჰოვარდი, ბაინსი (სტაბსი 46), იაგიელკა, იობო, ლესკოტი, არტეტა, კარსლი, ოსმანი, კეჰილი (მაკფადენი 86), პიენაარი, აიეგბენი (ანიჩებე 81)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: იაგიელკა, მური
მსაჯი: ბენეტი
33 048 მაყურებელი

### ბოლტონი 1:1 ასტონ ვილა
1:0 ანელკა (22), 1:1 მური (57)
ბოლტონი: იასკელაინენი, მეიტე, ე. ობრაიენი, კამპო (სპიდი 65), გარდნერი, მაკკანი (გუტრიე 71), ნოლანი, ჯ. ობრაიენი, კ. დევისი, ანელკა (სემუელი 79), დიუფი
მწვრთნელი: გარი მეგსონი
ასტონ ვილა: ტეილორი, ნაითი, მელბერგი, ლაურსენი, ბუმა, ოსბორნი (ბერგერი 46), ბერი, მელოუნი (მური 46), ს. პეტროვი, აგბონლაჰორი, იანგი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: ანელკა, კამპო, იანგი
მსაჯი: ატკინსონი
18 413 მაყურებელი

### ბირმინგემი 3:2 უიგანი
0:1 ბენტი (23), 1:1 კაპო (26პ), 1:2 ბენტი (59), 2:2 რიდგუელი (67), 3:2 კაპო (81)
ბირმინგემი: მ. ტეილორი, კელი, შმიტცი, რიდგუელი, კედრუ, დე რიდერი (მაკშეფრი 90), მუამბა (ოკონორი 62), ნაფტი, პალასიოსი (ლარსონი 78), კაპო, ჯერომი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
უიგანი: კირკლანდი, მელხიოტი, გრანკვისტი, ბრამბლი, კილბეინი, ვალენსია, შარნერი, ლანძაატი, კუმასი, სიბიერსკი (აგაჰოვა 84), მ. ბენტი
მწვრთნელი: კრის ჰატჩინგსი
გაფრთხილება: შარნერი
მსაჯი: ტერნერი
27 661 მაყურებელი

### სანდერლენდი 1:1 ფულემი
0:1 შ. დევისი (32), 1:1 ჯონსი (86)
სანდერლენდი: გორდონი, ჰალფორდი, ნოსვორთი, ჰიგინბოთემი, კოლინზი, ლიდბიტერი, ეტუჰუ (სტოკსი 61), მილერი, უოლესი (ჰარტი 71), ჯონსი, ჩოპრა (მერფი 61)
მწვრთნელი: როი კინი
ფულემი: ნიემი, ომოზუსი, ჰიუზი, სტეფანოვიჩი, ბოკანეგრა, შ. დევისი, ს. დევისი, მერფი, დემპსი, კამარა (სეოლი 82), ჰილი (კუქი 69)
მწვრთნელი: ლოური სანჩესი
გაფრთხილება: ჰალფორდი, დემპსი, შ. დევისი, სტეფანოვიჩი, ჰალფორდი, ბოკანეგრა
გაძევება: ჰალფორდი (67)
მსაჯი: მარინერი
39 392 მაყურებელი


„ლივერპული" და „არსენალი" ისევ წაუგებლები არიან

# გრანტმა, ეს სიტი ის სიტი არ გეგონოთო

**ლონდონის** „ჩელსიმ" მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში აჩვენა და ქვა ქვაზე არ დატოვა „მანჩესტერ სიტისგან" — 6:0. სტუმრებმა ისე საზიზღრად ითამაშეს, რომ მასპინძლებს შეეძლოთ, ბევრად დიდი სხვაობითაც მოეგოთ.

„სიტის" ამ შეხვედრაში აბსოლუტურად არაფერი გამოუვიდა. განსაკუთრებით კოშმარულად მანჩესტერელთა დაცვა გამოიყურებოდა და სვენ გორან ერიკსონის ჩანაფიქრებმაც, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ვერ გაამართლა.

„ჩელსის" ყველა გოლის სათითაოდ აღწერას აღარ მოვყვებით. უბრალოდ, აღვნიშნოთ, რომ ექვსი გოლიდან სამჯერ „სიტის" ახალგაზრდა მეკარე ჯო ჰარტს ფეხებშუა გაუძვრა ბურთი. თუმცა მისი დადანაშაულება მაინც ძნელია...

ლონდონელთაგან ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ განსაკუთრებით ფრენკ ლამპარდი, მიკაელ ესიენი და დიდიე დროგბა გამოირჩეოდნენ.

„ყველა მატჩში ვუმატებთ, ფეხბურთელებს უფრო და უფრო უკეთ სურთ თამაში და ამას ამტკიცებენ კიდეც. რა თქმა უნდა, ყველა შეხვედრას 6:0-ს ვერ მოვიგებთ და არც „სიტია" ისეთი სუსტი გუნდი, როგორიც დღეს გამოჩნდა. ახლა შუა პროცესში ვართ და საჭიროა, ასე გავაგრძელოთ. მთავარია, ფანები დარწმუნდნენ, რომ ლამაზი და შემტევი ფეხბურთის თამაში გვინდა" — თქვა „ჩელსის" მწვრთნელმა აბრაამ გრანტმა.

სვენ გორან ერიკსონი: „დაგვავიწყდა, როგორ უნდა გვეთამაშა დაცვაში, ძალიან ცუდად გამოვიყურებოდით. ხალხი სანახაობრივ ფეხბურთს ითხოვს, მაგრამ „ჩელსის" დარ გუნდს სივრცეს თუ მისცემ, დაცვაში კარგად და აგრესიულად თუ არ ითამაშებ, ასეთ შედეგს მიიღებ. ბოდიშს ვუხდი ფანებს, რომლებიც ლონდონში ჩამოგვყვნენ."

ბრწყინვალე ფორმაში მყოფი „მანჩესტერ იუნაიტედის" შემჩერებელი ჯერ არ ჩანს. 100 წელიწადში პირველად, „წითელმა ეშმაკებმა" მიჯრით 4 მატჩი ისე მოიგეს, რომ ოთხივეში 4 გოლი გაიტანეს და 1907 წლის რეკორდი გაიმეორეს.

სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი მესამე წუთზევე დააწინაურა ნანიმ მშვენიერი გასროლით. სამ წუთში ჯერემი ალიადიერმა თავურით წონასწორობა აღადგინა და სტუმრებმა გაიბრძოლესავით, მაგრამ ძალა დიდხანს არ ეყოთ. რუნიმ ნანის პასით იხეირა და მასპინძლებმა ტაიმი 2:1 მოიგეს.

მეორე ნახევარში „მანჩესტერმა" საბოლოოდ დაშალა „მიდლსბრო". დუბლი გააფორმა ფორმაში შესულმა კარლოს ტევესმა. არგენტინელმა ჯერ რუნის ბრწყინვალე ქუსლურით იხეირა, მერე კი ენდრიუ ტეილორის წახმარებით გაიტანა — იგი დარტყმისას მეკარე მარკ შვარცერს ფარავდა.

„სწრაფი გოლის გატანა გვინდოდა და ეს გამოგვივიდა კიდეც, მაგრამ „ბორომ" მალევე გაგვითანაბრა და საქმე გაგვირთულა. თუმცა ნელ-ნელა სათანადოდ ავთამაშდით და დამსახურებულად მოვიგეთ" — აღნიშნა ფერგიუსონის თანაშემწემ კარლუშ კეიროშმა.

გემრიელი ჯახი გამოგვივიდა „სენტ ენდრიუსზე". სტუმარი „უიგანი" მშვენივრად თამაშობდა და ორჯერ უგებდა მასპინძელ „ბირმინგემს", მაგრამ მაინც უქულოდ დარჩა. 81-ე წუთზე დაახლოებით 15 მეტრიდან ოლივიე კაპომ კარგად დაარტყა და თავის გუნდს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა.

„რედინგმა" საკუთარ კედლებში ოთხეულთან მიახლოებული „ნიუკასლი" წააქცია — 2:1. სამივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა. გადამწყვეტი შეინ ლონგის მშვენიერი დარტყმა იყო 84-ე წუთზე. არადა, იგი მინდორზე ერთი წუთის შესული გახლდათ.

როი კინის „სანდერლენდი" მებრძოლ ხასიათს ავლენს. „ფულემი" საიმონ დევისის მშვენიერი შორეული დარტყმით იგებდა. 67-ეზე დევიდ ჰილის წაქცევისთვის გრეგ ჰალფორდი გააძევეს მინდვრიდან და „შავი კატები" თითქოს გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ, მაგრამ 86-ე წუთზე კევინ ჯონსმა შეძლო გათანაბრება და ენტონი სტოქსს ცოტა რომ გამართლებოდა, მასპინძლები სულაც მოიგებდნენ.

**გიორგი ქაქაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 10 | 8 | 2 | 0 | 22:7 | 26 |
| მანჩესტერი | 11 | 8 | 2 | 1 | 19:4 | 26 |
| სიტი | 11 | 7 | 1 | 3 | 15:13 | 22 |
| ჩელსი | 11 | 6 | 3 | 2 | 16:8 | 21 |
| ბლექბერნი | 10 | 6 | 3 | 1 | 15:9 | 21 |
| ლივერპული | 10 | 5 | 5 | 0 | 17:6 | 20 |
| პორტსმუთი | 11 | 5 | 4 | 2 | 19:12 | 19 |
| ნიუკასლი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:13 | 17 |
| ევერტონი | 11 | 5 | 1 | 5 | 15:13 | 16 |
| ასტონ ვილა | 10 | 4 | 3 | 3 | 14:13 | 15 |
| ვესტ ჰემი | 10 | 4 | 2 | 4 | 12:9 | 14 |
| რედინგი | 11 | 4 | 1 | 6 | 14:23 | 13 |
| ბირმინგემი | 11 | 3 | 2 | 6 | 11:15 | 11 |
| ფულემი | 11 | 1 | 6 | 4 | 13:17 | 9 |
| სანდერლენდი | 11 | 2 | 3 | 6 | 12:20 | 9 |
| უიგანი | 11 | 2 | 2 | 7 | 10:17 | 8 |
| მიდლსბრო | 11 | 2 | 2 | 7 | 11:22 | 8 |
| ტოტენჰემი | 11 | 1 | 4 | 6 | 18:23 | 7 |
| ბოლტონი | 11 | 1 | 3 | 7 | 10:17 | 6 |
| დერბი | 11 | 1 | 3 | 7 | 5:24 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მვარუვარი (პორტსმუთი) | 7 |
| ადებაიორი (არსენალი) | 6 |
| ანელკა (ბოლტონი) | 5 |
| კინი (ტოტენჰემი) | 5 |
| ვან პერსი (არსენალი) | 5 |

### XII ტური
3 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | : | მანჩესტერი |
| ასტონ ვილა | : | დერბი |
| ბლექბერნი | : | ლივერპული |
| ევერტონი | : | ბირმინგემი |
| ფულემი | : | რედინგი |
| სიტი | : | სანდერლენდი |
| მიდლსბრო | : | ტოტენჰემი |
| ნიუკასლი | : | პორტსმუთი |
| ვესტ ჰემი | : | ბოლტონი |
| უიგანი | : | ჩელსი |

### ჩემპიონატი. XIII ტური
ჩარლტონი — ქუინზ პარკი 0:1; ბრისტოლი — სტოკი 1:0; კარდიფი — სკანთორპი 1:1; ქოვენთრი — კოლჩესტერი 1:0; ჰალი — შეფილდი 1:1; იფსვიჩი — ვულვზი 3:0; ლესტერი — ბარნსლი 2:0; პრესტონი — პლიმუთი 2:0; უესდი — ბლექპული 2:1; ვესტ ბრომვიჩი — ნორვიჩი 2:0; ბარნლი — საუთჰემპტონი 2:3. კრ. პალასი — უოტფორდი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოტფორდი | 12 | 9 | 2 | 1 | 22:12 | 29 |
| ბრისტოლი | 13 | 7 | 5 | 1 | 20:12 | 26 |
| ვესტ ბრომვიჩი | 13 | 7 | 2 | 4 | 27:15 | 23 |
| იფსვიჩი | 12 | 6 | 3 | 3 | 22:17 | 21 |
| ვულვზი | 13 | 6 | 3 | 4 | 16:14 | 21 |
| სტოკი | 13 | 5 | 5 | 3 | 18:16 | 20 |
| პლიმუთი | 13 | 5 | 5 | 3 | 17:15 | 20 |
| ჩარლტონი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:15 | 19 |
| სკანთორპი | 13 | 5 | 4 | 4 | 16:16 | 19 |
| საუთჰემპტონი | 13 | 6 | 1 | 6 | 24:27 | 19 |
| ქოვენთრი | 13 | 5 | 3 | 5 | 15:18 | 18 |
| ბარნლი | 12 | 4 | 5 | 3 | 20:19 | 17 |
| ბარნსლი | 13 | 4 | 5 | 4 | 17:20 | 17 |
| ჰალი | 13 | 4 | 4 | 5 | 17:15 | 16 |
| ლესტერი | 12 | 3 | 6 | 3 | 12:9 | 15 |
| კოლჩესტერი | 13 | 3 | 5 | 5 | 23:23 | 14 |
| კარდიფი | 13 | 3 | 5 | 5 | 18:19 | 14 |
| პრესტონი | 13 | 3 | 5 | 5 | 14:15 | 14 |
| ბლექპული | 13 | 2 | 7 | 4 | 16:19 | 13 |
| შეფილდი | 13 | 3 | 4 | 6 | 17:21 | 13 |
| უესდი | 13 | 4 | 1 | 8 | 16:23 | 13 |
| კრ. პალასი | 12 | 2 | 5 | 5 | 14:16 | 11 |
| ქუინზ პარკი | 12 | 2 | 5 | 5 | 10:21 | 11 |
| ნორვიჩი | 13 | 2 | 2 | 9 | 7:18 | 8 |

### პირველი ლიგა. XIII ტური
ტრანმერი — ჰადერსფილდი 3:0; ბორნმუთი — უოლსოლი 1:1; ჩელტენემი — ქრიუ 2:2; ჯილინგემი — როვერსი 3:2; ჰარტლპული — ბრაიტონი 1:2; ლიდსი — მილუოლი 4:2; ლუთონი — ნოტინგემი 2:1; ოლდემი — ნორთჰემპტონი 0:1; პორტ ვეილი — სუინდონი 2:1; საუთენდი — კარლაილი 0:1; იოვილი — სუონსი 1:2; დონკასტერი — ლეიტონი 4:2

### მეორე ლიგა. XIII ტური
ბარნეტი — აკრინგტონი 2:2; ბრენტფორდი — ლინკოლნი 1:0; ჩესტერი — უიკომბი 2:2; დაგენემი — როტერჰემი 0:2; დარლინგტონი — ჩესტერფილდი 0:0; გრიმსბი — ბრედფორდი 1:1; მაკლსფილდი — ბერი 2:2; დონსი — სტოკპორტი 0:2; მორეკემბი — როჩდეილი 1:1; ნოტსი — რექსემი 2:1; პიტერბრო — შრეფორდი 1:1; შრიუსბერი — მენსფილდი 0:0

# გერმანია
## ბუნდესლიგა XI ტური

**შალკე 1:1 ვერდერი**

1:0 გროსმიულერი (14), 1:1 ნალდო (34)
შალკე: ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი, პანდერი, ფ. ერნსტი, ჯონსი, გროსმიულერი, ასამოა, კურანი, ლოვენკრანდსი (რაკიტიჩი 63)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
ვერდერი: ვიზე, პარნიკი, მერტესაკერი, ნალდო, ტოშიჩი, ფრინგსი, დ. იენსენი (ბაუმანი 33), ბოროვსკი (ვრანიეში 90), დიეგო, სანოგო (როზენბერგი 84), უგო ალმეიდა
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: გროსმიულერი, ფრინგსი, ბორდონი, ბაუმანი, რაფინია, ტოშიჩი, ჯონსი
მსაჯი: ფანდელი
61 482 მაყურებელი

**ჰანზა 0:0 კარლსრუე**

ჰანზა: ვეხტერი, დ. ლანგენი, სებასტიანი, ორესტესი, მ. შტაინი, ბიულოვი (ბაინლიხი 89), რატგები, კერნი, რანი, აგალი (შაპურზადეჰი 77), პენგე (დორნი 58)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
კარლსრუე: მ. მილერი, ა. გიორლიცი, ეგიმენი, ფრანცი, აიხნერი, მუტცელი, პორკელიო, ტიმი, ჰაინალი (ადუბე 84), კარნელი, ფრაისი (კაპლანი 62)
მწვრთნელი: ედმონდ ბეკერი
გაფრთხილება: დორნი, შაპურზადეჰი
მსაჯი: დრეესი
14 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 0:0 ბაიერნი**

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ფ. დეგენი, ბრჟესკა, კოვაჩი, დედე, ტინგა, ბლაშჩიკოვსკი (კლიმოვიჩი 83), კრინგე, ნ. ვალდესი (ფედერიკო 79), ბაკლი, პეტრიჩი
მწვრთნელი: თომას დოლი
ბაიერნი: რენსინგი, ლელი, ლუსიო, დემიკელისი, იანსენი, ვან ბომელი (ოტლი 87), ზე რობერტო, სოსა (ჰამიტ ალტინტოპი 66), შვაინშტაიგერი, კლოზე, ტონი (პოდოლსკი 70)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ტინგა, შვაინშტაიგერი, ვალდესი, კლიმოვიჩი
მსაჯი: მერკი
80 708 მაყურებელი

**დუისბურგი 0:1 ჰამბურგი**

0:1 კომპანი (37)
დუისბურგი: შტარკე, ლამეი, ფერნანდო, შლიკე, ვილი, ტარარახე, ტიფერტი, გეორგიევი, მაიკონი (ლავრიჩი 60), იდრისუ (მოხტარი 78), დაუნი (მიოლდერსი 78)
მწვრთნელი: ედუარდ ბომერი
ჰამბურგი: ფ. როსტი, ჟ. ბოატენგი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა, დემელი, კომპანი, ტროხოვსკი, იაროლიმი (ბენჯამინი 87), ზიდანი (ჩუპო-მოტინგი 73), ოლიჩი (ბრეცკო 90)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: ფერნანდო, ზიდანი, ტარარახე
მსაჯი: კემპტერი
30 160 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:0 ლევერკუზენი**

1:0 ბეკი (72)
შტუტგარტი: რ. შეფერი, ოსორიო, პისკორნი, ტასკი, ბეკი, ხედირა, ჰილბერტი (მუსტერი 46), ჰიცლშპერგერი, ბასტურქი (პერხტოლდი 85), გომესი (მაისნერი 81), კაკაუ
მწვრთნელი: არმინ ფეე
ლევერკუზენი: რ. ადლერი, კასტრო (გრეშკო 53), მ. ფრიდრიხი, ჰაგუი, შარპი, სინკევიჩი, როლფსი, კისლინგი (ფრაიერი 70), ბარბარესი, ბარნეტა, პაპადოპულოსი (გეკასი 36)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
მსაჯი: პერლი
51 000 მაყურებელი

**ჰერტა 2:0 ბოხუმი**

1:0 მალტრიცი (26ს.კ.), 2:0 პანტელიჩი (35)
ჰერტა: დრობნი, ჩაჰედი, ა. ფრიდრიხი, ფონ ბერგენი, ფატი, მინეირო, შიმუნიჩი, ებერტი (ლუშტენბერგერი 90), ჟილბერტო (პიშჩეკი 62), გრანი, პანტელიჩი (ს. ოკორონკვო 90)
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
ბოხუმი: ლაშტუვკა, კონჩა, მალტრიცი, იაია, პფერცელი, დაბროვსკი (მაისელი 64), ო. შრიოდერი, შესტაკი, გროტე (ბეხმანი 60), ილიჩევიჩი (აუერი 74), ეპალე
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
მსაჯი: შტარკი
34 580 მაყურებელი

**აინტრახტი 0:0 ჰანოვერი**

აინტრახტი: პრიოლი, პ. ოხსი, რუსი, კირიაკოსი, კიოლერი, ინამოტო, მ. ფინკი, ა. შტრაიტი, ა. მეიერი, ვაისენბერგერი (ტურკი 46), ამანატიდისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ფარენჰორსტი, ტარნატი, ბალიტჩი, კ. შულცი (ლალა 56), როზენტალი, ს. პინტო (ბრუგინკი 86), ჰუშტი (ლაუტი 80), ჰანკე
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: მეიერი, ვინისიუსი, კირიაკოსი
მსაჯი: გრეფე
44 700 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 3:1 ნიურნბერგი**

1:0 ხარისტიასი (30ს.კ.), 2:0 გრაფიტე (34), 2:1 მისიმოვიჩი (54პ), 3:1 დეჯაგა (67)
